4. დაწესდეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმა ინვალიდების, პენსიონერებისა და ღრმად მოხუცთა ოჯახებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ სოფელადგილებში და არ ირიცხებიან კოლმეურნეობის წევრებად, 0,15 ჰექტარამდე იმ ფართობის ჩათვლით, რაც საცხოვრებელ და სხვა ნაგებობებს უჭირავთ.

5. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების 1-4 პუნქტებში აღნიშნულ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ საკარმიდამო ნაკვეთები ამ დადგენილებით დაწესებულ ზღვრულ ნორმებზე ნაკლები, მიწის ნაკვეთები დამატებით არ გამოეყოფათ.

6. შრომისუნარიან მოქალაქეებს, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, შრომის დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, შეიძლება ჩამოერთვას საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის უფლება.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 მარტის № 103 დადგენილების 1 და 2 პუნქტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვამია**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 4 იანვარი, № 1.

4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უკონკრეტო დადგენილების გაუქმების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 14 სექტემბრის № 510 დადგენილებისა „პირუტყვის საკვებად ჰურისა და სხვა სასუ-



რსათო პროდუქტების სახელმწიფო ფონდებიდან ხარჯვის წინააღმდეგ ბრუნვისა და ღირებულების ღირსეულობის ხელშეწყობის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 19 ნოემბრის № 943 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 4 იანვარი, № 2.

5 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოოპერაციული საბინაო მშენებლობის მიმდინარეობისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ

ამონაკრები

კოოპერაციული საბინაო მშენებლობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 19 ნოემბრის № 943 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 19 ნოემბრის № 943 დადგენილება „კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, მთავართბილმშენს და № 1 ტრესტს:

ა) მიიღონ გადაწყვეტი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოოპერაციული საბინაო მშენებლობის მკვეთრად გაუმჯობესებას და სახლების გადაცემას საექსპლუატაციოდ გეგმით დაწესებულ ვადებში;

ბ) ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ ყველა სამშენებლო მოედანზე და უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება ზუსტი გეგმებისა და გრაფიკების მიხედვით;

გ) სასწრაფოდ უზრუნველყონ მშენებლობანი საჭირო საშენი მასალებით, დეტალებითა და მექანიზმებით.

3. წინადადება მიეცეთ რუსთავეის, ზესტაფონის, ცხინვალის, ჭიათურის, ფოთის, ტყვარჩელის, ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს გააჩაღონ მუშაობა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მოსაწყობად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შექმნან საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რაიონებში.



5. დაევალეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განაწილონ, საქართველოს სსრ ვაჭრობის, განათლების, ჯანმრთელობის და ცივის და კულტურის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, ცეკავშირის და სხვა დაინტერესებულ უწყებათა მონაწილეობით, სასრებში, რომლებიც განკუთვნილია ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სადგომების მშენებლობისათვის (საბინაო მშენებლობის მოცულობიდან 5-პროცენტიანი ანარიცხების ჩათვლით), ამასთან გაითვალისწინონ ამ ობიექტების აშენება 1965 წელს როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რაიონებში.

6. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, იმ მიზნით, რომ დანმარება გაეწიონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს და გაუმჯობესდეს ტექნიკური ზედამხედველობა კოოპერაციული სახლების და პროექტებისა და მშენებლობისადმი, დააკისრონ ამ მშენებლობის შემკვეთთა ფუნქციები კომუნალური მეურნეობის განყოფილებებსა და კომბინატებს, გარდა ქალაქ თბილისისა, სადაც შემკვეთად ითვლება საქალაქო აღმასკომის კაბტალური მშენებლობის სამმართველო.

7. დაწესდეს, რომ დამთავრებული კოოპერაციული სახლების საქესპლუტაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების შემადგენლობაში შედის შესაბამის კოოპერატივის წარმომადგენელი.

8. რჩევა მიეცეთ პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს და რესპუბლიკურ კომიტეტებს, აგრეთვე იმ საწარმოების, მშენებლობებისა და დაწესებულებების საფაბრიკო-საქარბნო და ადგილობრივ კომიტეტებს, რომლებთანაც შექმნილია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, მოაგვარონ ყოველდღიური კონტროლი კოოპერაციული სახლების მშენებლობისადმი, შექმნან საკონტროლო საგუშაგოები თვითიური მშენებლობის მიხედვით. ამასთან ჩააბან ამ საქმეში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სანიმუშო წესდებებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

10. დაევალეთ საქართველოს სსრ სახმშენს და მშენებლობის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად იმუშაონ საბინაო კოოპერაციული მშენებლობის საკითხებზე და ყოველკვარტალურად განიხილონ მისი მიმდინარეობა კოლეგიებისა და აღმასკომების სხდომებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 8 იანვარი, № 7.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დ ე ღ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 943

1964 წლის 19 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ შესასრულებლად სსრ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის ივნისის № 561 დადგენილებისა „ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“. მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შექმნისა და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. ჩვენს ქვეყანაში მოეწყო 3400-ზე მეტი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი. ამ კოოპერატივებში ირიცხება 260 ათასზე მეტი მებაიე.

წარმატებით ხორციელდება კოოპერაციული საბინაო მშენებლობის გეგმა ქალაქ მოსკოვში, ლენინგრადში, კუიბისევის, პერმის, ომსკისა და პენზის ოლქებში, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, მარის ასს რესპუბლიკაში, ლიტვის სს რესპუბლიკასა და ლატვიის სს რესპუბლიკაში.

მაგრამ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში და ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში კოოპერაციული საბინაო მშენებლობის გეგმა არ სრულდება.

1964 წლის ცხრა თვის განმავლობაში კოოპერაციული საბინაო მშენებლობის ხაზით საცხოვრებელი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებულია წლიური გეგმის 50 პროცენტით, მათ შორის რუსეთის სსრ რესპუბლიკაში — 53 პროცენტით, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 52 პროცენტით და უკრაინის სს რესპუბლიკაში — 49 პროცენტით.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, საქართველოს სს რესპუბლიკაში, ყირგიზეთის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში, აგრეთვე კიროვის, ვორონეჟის, ორიოლის, ვლადიმირის, ნოვოსიბირსკის, ვოლგოგრადისა და სარატოვის ოლქებში არადაამაყიფილებლად სრულდება კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის 1964 წლისათვის დაწესებული გეგმა.

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში, არხანგელსკის, ირკუტსკისა და კალევის ოლქებში მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში საექსპლუატაციოდ არ ყოფილა გადაცემული არც ერთი კოოპერაციული სახლი.

სსრ კავშირის სახმშენის, პროფესიულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ბევრი აღმასკომი ნელი ტემპებით ეწევა კოოპერაციულ საბინაო მშენებლობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, არ იღებს საჭირო ზომებს



საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ კი ციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის დაჩქარებისათვის, ხანგრძლივი დროით აგვიანებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მოწყობას და მათთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფას; მიწის ნაკვეთებს გამოყოფენ ისეთ რაიონებში, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი მაგისტრალური საინჟინრო ქსელებითა და საქალაქო გზებით, სადაც საჭირო ზდება შენობების აღება, ან ისეთ რაიონებში, რომლებიც დაშორებული არიან კოოპერაციის წევრთა მუშაობის ადგილებს.

მთელ რიგ შემთხვევებში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს აკისრებენ ვალდებულებას აანაზღაურონ მშენებლობის უზნიდან ასაღები შენობებისა და ნაგებობათა ღირებულება, აგრეთვე ხარჯები კოოპერაციული სახლების პირველ სართულებში სადგომების მშენებლობისა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების და სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის, რაც ადიდებს კოოპერატივების ხარჯებს.

საპროექტო ორგანიზაციები დროზე ვერ უზრუნველყოფენ კოოპერაციული სახლების მშენებლობას ტექნიკური დოკუმენტაციით.

ადგილი აქვს დაუსაბუთებელ შეზღუდვებს იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში. სამშენებლო ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ კოოპერაციული სახლების მშენებლობას, არღვევენ მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის ვალდებულებას.

კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ რესპუბლიკებში კოოპერაციული საბინაო მშენებლობის 1964 წლის გეგმის შესრულების მდგომარეობა, უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ამ მშენებლობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და დაამტკიცონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის 1964-1965 წლებისათვის დაწესებულ დავალებათა უცილობლო შესრულებას, აგრეთვე კოოპერაციული სახლებისათვის ისეთი ჭარბნაკეთის შექმნას, რომელიც საჭიროა კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის.

2. შპრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გამოყონ მიწის ნაკვეთები კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა კოოპერაციის მიერ განცხადების შეტანის დღიდან, როგორც წესი, მასობრივი საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილ ტერიტორიებზე, რომლებიც მდებარეობენ იმ საწარმოსთან (დაწესებულებასთან) უფრო ახლოს, რომელთანაც მოწყობილია კოოპერატივი, უპირატესად შენობათა და ნაგებობათა აუღებლად.

დაწესდეს, რომ კოოპერაციისათვის მისი თანხმობით ისეთი მიწის ნაკვეთის გამოყოფის დროს, სადაც აგებულია სახელმწიფო საწარმოთა ან ორგანიზაციათა ასაღები შენობები და ნაგებობანი, ასაღები ობიექტების ღირებულება ჩამოიწერება ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსებიდან. საბი-



ნაო-სამშენებლო კოოპერატივები განთავისუფლებული არიან ანაზღაურონ იმ ასაღები სახლების, შენობებისა და მოწყობილობის ღირებულება, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, და კოოპერატივისათვის გამოსაყოფ მიწის ნაკვეთებზე არსებული ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულება, აგრეთვე იმისაგან, რომ საცხოვრებელი ფართობით დააკმაყოფილონ ამ სახლებიდან გადასასახლებელი პირები.

აღნიშნული სახლების, შენობების, მოწყობილობის, ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურებას მოქალაქეებისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი ფართობის მიცემას გადასასახლებელი პირებისათვის ეწევიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

აღნიშნულ შემთხვევებში კოოპერაციული სახლის მშენებლობის ღირებულებას მიეკუთვნება მხოლოდ ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია შენობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგავის გატანასთან.

3. დაწესდეს, რომ როდესაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების თანხმობით მათს სახლებში შენდება სადგომები ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და სხვა დაწესებულებებისათვის, ამ სადგომების მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები დაფინანსდება კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რომლებიც გამოეყოფათ შესაბამის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ისე, რომ სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულება მიეკუთვნოს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსს, რომლებიც სადგომების ექსპლუატაციას ახორციელებენ.

4. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა გააძლიეროს იმისადმი კონტროლი, რომ დანიშნულებისამებრ იქნას გამოყენებული ის სახსრები, რომლებიც მშრომელებს შეაქვთ კოოპერაციული საბინაო მშენებლობისათვის, და არ დაუშვას, რომ კოოპერატივების სახსრების ხარჯზე დაფინანსებულ იქნას გარეკვარტალური ნაგებობებისა და საინჟინერო კომუნიკაციების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და სხვა დაწესებულებებისათვის საჭირო სადგომების მშენებლობა.

5. სსრ კავშირის საბმუნთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა:

სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საეგემო კომიტეტთან, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცოს მითითებანი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის, აგრეთვე ამ სახლებისა და ბინების ღირებულების განსაზღვრის შესახებ.

1965 წლის 1 იანვრამდე დაამთავრონ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების ისეთი ტიპობრივი პროექტების შემუშავება და დამტკიცება, რომლებიც თავიანთი კეთილმოწყობის, დაეგემაჩებისა და ბინების განლაგების მხრივ



შეესაბამებინ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მოთხოვნილებებს, მათ შორის ნებლობის რაიონების კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროული გაცემა.

6. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებს ნება დართონ. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების თხოვნით, მოხდეს კოოპერაციულ სახლებში გაუმჯობესებული მოპირკეთება და დაიდგას უფრო სრულყოფილი მოწყობილობა.

გაუმჯობესებულ მოპირკეთებასთან და უფრო სრულყოფილი მოწყობილობის დადგმასთან დაკავშირებულ ხარჯებს აანაზღაურებენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები თავიანთი სახსრებით. დამატებითი ხარჯთაღრიცხვებს მიხედვით.

7. დაწესდეს, რომ კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებში ჩასახლებულ უნდა იქნას მხოლოდ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები და მათი ოჯახები ორდერებით, რომლებსაც გასცემენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, კოოპერატივების მიერ წარდგენილი სიების შესაბამისად.

თუ კოოპერაციულ სახლში გადასახლდა კოოპერატივის წევრის მთელი ოჯახი, ვანთავისუფლებული ფართობი გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ან საწარმოსა და ორგანიზაციას კეთვნილებისამებრ.

იმ შემთხვევებში, როდესაც კოოპერაციულ სახლში გადასახლდება სახელმწიფო საცხოვრებელი ფართობიდან კოოპერატივის წევრის არა მთელი ოჯახი, დარჩენილ პირებს შეუნარჩუნდებათ ამ ფართობის (ბინის ან ცალკე ოთახის) სარგებლობის უფლება იმ ოდენობით, რაც დაწესებულია მოქმედი სანიტარული ნორმებით, იმ უფლებების გათვალისწინებით, რომლებიც მათ აქვთ დამატებითი ფართობზე.

8. დაწესდეს, რომ კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ღირებულება გამოიანგარიშება იმ ფასების, ნორმებისა და წესის მიხედვით, რაც დაწესებულია სახელმწიფო საბინაო მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დასადგენად, ხე-ტყის მასალის, ხისა და რკინაბეტონის ნაერთობათა მოქმედ საბითუმო და სახარჯთაღრიცხვო ფასებს შორის არსებული განსხვავების, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა სტარიფო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებით. განსხვავების თანხა აღინიშნება სახლის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში ცალკე სტრიქონად, ისე, რომ ამ თანხას არ დაეროცება ზედნადები ხარჯები.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების იმ საკუთარი სახსრების ოდენობა, რაც შეტანილ უნდა იქნას ბანკში, აგრეთვე სახელმწიფო კრედიტის ოდენობა გამოიანგარიშება მშენებლობის ღირებულების საფუძველზე, ფასებსა და ტარიფებში არსებული აღნიშნული განსხვავების გათვალისწინებით.

9. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების ძალებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებთან სახელშეკრულებო საწყისებზე ამ კოოპერატივების საბინაო ფონ-



დის და სახლმფლობელობათა ტერიტორიების მომსახურება. იმ შემთხვევაში, რომ კოოპერატივებმა აანაზღაურონ აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები იმ განაკვეთების მიხედვით, რაც დაწესებულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ სახელმწიფო საბინაო ფონდის სახლების მომსახურებისათვის.

10. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობებთან და დაბებში, რომლებიც მდებარეობენ სოფელ ადგილებში, შეიძლება შეიქმნას კოოპერატივები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის იმ პირობების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია კოოპერატივებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სახლების მშენებლობას ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში.

11. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების აღმასკომებს ყაზახეთის სსრესპუბლიკაში, ალტაის, კრასნოიარსკის, ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეებში, ამურის, არხანგელსკის, ირკუტსკის, კამჩატკის, კემეროვოს, მაგადანის, მურმანსკის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, სახალინის, ტომსკის, ტიუმენისა და ჩიტის ოლქებში, ბურიატეთის ასს რესპუბლიკაში, კომის ასს რესპუბლიკაში, კარელიის ასს რესპუბლიკაში, იაკუტიის ასს რესპუბლიკასა და ტუვის ასს რესპუბლიკაში მდებარე დასახლებულ პუნქტებში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მოწყობის დროს 1965 წლის 1 იანვრიდან, პროფკავშირული ორგანოების, აკრეფე საწარმოებისა და ორგანიზაციების თხოვნით, შეამცირონ 30 პროცენტამდე სახლის მშენებლობის ღირებულება, საკუთარი სახსრების ოდენობა, რაც შეტანილ უნდა იქნას მშენებლობის დაწყებამდე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 ივნისის № 561 დადგენილების შესაბამისად.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა, მშრომელთა დეპუტატების აღმასკომების გადაწყვეტილებათა თანახმად, აძლიოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს, რომლებიც აღნიშნულ ადგილებში მოეწყობა, სახელმწიფო კრედიტი საცხოვრებელი სახლების ღირებულების 70 პროცენტამდე იმ ანგარიშით, რომ დაფარულ იქნას იგი ყოველწლიურად თანაბარ წილად 10—20 წლის განმავლობაში.

12. დაწესდეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის 1965 წლის 1 იანვრიდან პროცენტული განაკვეთი სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის წლიური 0.5 პროცენტის ოდენობით. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის სესხთა ვადავასული გადასახდელების თანხას, ვადის გადაცილების დროისათვის დაერიცხოს 3 პროცენტი წლიურად.

13. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების შექმნა კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რაიონებში.

14. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის დახმარების გასაწევად და კოოპერაციული სახლების დაპროექტებისა და მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის გასაუქმებლად მოკავშირე რესპუბლიკების მინის-



ტრთა საბჭოებმა ამ მშენებლობის შემკვეთთა ფუნქციების შესრულების კისრონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შესანიშნავი განყოფილებებს (სამმართველოებს). ამ შემთხვევებში ტექნიკური ზედამხედველობა ხორციელდება იმ შესაბამისი სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კოოპერაციული სახლების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებით.

დაწესდეს, რომ დამთავრებული კოოპერაციული სახლების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების შემადგენლობაში შედის შესაბამისი კოოპერატივის გამგეობის წარმომადგენელი.

15. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ორი თვის ვადაში შეიტანონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სანიმუშო წესდებებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

16. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, დააწესოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან შეთანხმებით, თვიური ანგარიშგება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების რაოდენობისა და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმის შესრულების შესახებ.

17. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით, ორი თვის ვადაში შეიტანოს კოოპერაციული საბინაო მშენებლობის დაკრედიტების მოქმედ წესებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. კონიბინი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე მ. სირბიუკოვი.



6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:
დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 9 იანვარი, № 14.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 9 იანვრის № 14
დადგენილება

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს შესახებ

1.

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველო შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 ნოემბრის № 716 დადგენილების საფუძველზე და თავის საქმიანობაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს ეკისრება შეასრულოს ყველა კანონი, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი სატყეო მეურნეობის, ტყის ექსპლუატაციის, ნაყრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის საკითხებზე.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას მთავარი სამმართველოს უფროსი. მთავარი სამმართველოს უფროსს და უფროსის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.



3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადებას მთავარი სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს მთავარი სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მთელ საქმიანობას და ამის შესახებ მისად:

ა) განაგებს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს — სატყეო მეურნეობებს, მეჭანიჭებულ სატყეო მეურნეობებს, ნაკრძალებს, სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს, ტყეპარკებს, თესლდამამზადებელ და სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებს, ხელმძღვანელობს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოების (ინსპექციების) მუშაობას;

ბ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს, რომლებიც შეეხებიან სატყეო მეურნეობის, ტყის ექსპლუატაციის, ნაკრძალების საქმის, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო სპორტისა და რეწვის განვითარებას საქართველოს სს რესპუბლიკაში;

გ) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესასრულებლად და შეამოწმებს მათს შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს უფროსის მიერ გამოცემული ბრძანებები და ინსტრუქციები სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ტყის ექსპლუატაციის, ნაკრძალების საქმის, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო რეწვისა და სპორტის საკითხებზე სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის;

დ) დაამტკიცებს დებულებებს მთავარი სამმართველოს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, მთავარ სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დებულებებსა და წესდებებს, აგრეთვე დებულებას სახელმწიფო სამონადირეო ინსპექტორებისა და საზოგადოებრივი სამონადირეო ინსპექციის შესახებ;

ე) დანიშნავს და დაითხოვს მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაებს, აგრეთვე მთავარი სამმართველოს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაებს;

ვ) დაუნიშნავს პერსონალურ განაკვეთებს მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს



მიერ დაწესებული პერსონალური განაკვეთების ლიმიტებისა და ფარგლებში;

ზ) დაამტკიცებს სანადირო ძაღლების გამოყენების, გამოყვანის და საველე გამოცდის მსაჯთა კოლეგიების შემადგენლობას;

თ) გააუქმებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, სატყეო მეურნეობების, სატყეო-სამრეწველო მეურნეობების, ნაკრძალებისა და მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ბრძანებებს და შეაჩერებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ზე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

წინადადებებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული სატყეო მეურნეობის სამმართველოების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ მთავარი სამმართველო შეიტანს შესაბამისი ასსრ მინისტრთა საბჭოების განსახილველად;

ი) წარადგინს დადგენილი წესით შესაბამის ინსტანციებში კანდიდატურებს საპატიო წოდებათა მისანიჭებლად, საქართველოს სსრ საპატიო სიგელებით, სსრ კავშირის მედლებითა და ორდენებით დასაჯილდოებლად.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ზე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოში შეიქმნება კოლეგია მთავარი სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის ექსპლუატაციის, ნაკრძალების, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო სპორტისა და რეწვის, დაქვემდებარებული დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, მთავარი სამმართველოს უფროსის უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს მთავარი სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებებით.

მთავარი სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში მთავარი სამმართველოს უფროსი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს სა-



ქართულოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლეგიის წევრებს კი შეუძლიათ მხრივ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოში შეიქმნება:

- ა) სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო;
- ბ) ტყის მოწყობის კომისია;
- გ) კინოლოგიური საბჭო;
- დ) საკვალიფიკაციო კომისია სანადირო მებაღეობის მსაჯ-ექსპერტთა წოდების მისანიჭებლად.

დებულებებს აღნიშნული საბჭოებისა და კომისიების შესახებ, აგრეთვე მათს შემადგენლობას დაამტკიცებს მთავარი სამმართველოს უფროსი.

II.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ს ა ტ ყ ე ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს დ ა რ გ შ ი

ა) ხელმძღვანელობა სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეებში, სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისადმი, ტყის მოწყობის დაგეგმვა, სატყეო ფონდის აღრიცხვა, ხე-ტყის დამამზადებლებისა და მოსახლეობისათვის ტყესაკაფის ფონდის გადაცემისადმი ხელმძღვანელობა, ტყის ნედლეულის ბაზებისა და ტყესაკაფის ფონდის დაგეგმვა და მიმაგრება გრძელვადიანი სარგებლობისათვის დადგენილი წესით; იმისადმი კონტროლის განხორციელება, რომ სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები გაუძღვნენ სატყეო მეურნეობას იმ ტყეებში, რომლებიც მიჩენილი აქვთ მათ ხანგრძლივი სარგებლობისათვის, აგრეთვე იმისადმი კონტროლი, რომ დაცულ იქნას ტყის ძირზე გაცემის წესები;

ბ) ტყის მოვლითი ჭრის, სანიტარული და სხვა სატყეო-სამეურნეო ჭრის ორგანიზაცია, ტყეებში თანამდევ სარგებლობათა ექსპლუატაციის ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობა და იმის კონტროლის განხორციელება, რომ გამოყენებულ იქნას ღვი სატყეო მეურნეობის ინტერესების დაცვით, საძირკვე საფასურისაგან სახსრების შემოსვლის და სხვა სატყეო შემოსავლის დაგეგმვა და მათი აკრეფის ორგანიზაცია;

გ) თვითნებური ჭრისა და ტყის წესების სხვა დარღვევისაგან ტყეების დაცვის, აგრეთვე ხანძრებისაგან ტყეების დაცვის და მავნებლებისა და დაავადებისაგან მათი დაცვისადმი ხელმძღვანელობა;

დ) სახალხო მეურნეობის საპირობისათვის სახელმწიფო სატყეო ფონდიდან მიწის ნაკვეთების გამოყოფის ორგანიზაცია დადგენილი წესით;

ე) ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება;



ვ) შემდეგი ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო უწყებების დახმარებით:

ტყის აღდგენა განაკავთ ნახანძრალ, ცარიელ და მეჩხერ ფართობებზე ტყის ხელოვნური გაშენებისა და ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობის ვზით; წყალგამყოფების, აუზების, შთის ნაკადებისა და მდინარეების, აკრეთვე ხევეებისა და ეროდირებული ფართობების გატყიანება;

მცირეპროდუქციული მეჩხერების, ბუჩქნარებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის სხვა ფართობების რეკონსტრუქცია იმ მიზნით, რომ შეიქმნას ამ ფართობებზე ძვირფასი და სწრაფშარდი მაღალნაყოფიერი ჭიშების ნარგავები;

ძვირფასი, ენდემური და რელიქტური ტყის ჭიშების (ბზა, ურთხელი, ძელქვა, ელდარისა და ბიჭვინთის ფიჭვი და სხვა) აღდგენა და გაშენება, რომლებსაც სამეურნეო და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ;

შწვანე ზონების შექმნა ქალაქების, კურორტების, რაიონული და სამრეწველო ცენტრების გარშემო;

ტყის სანერგეების, სკოლებისა და პლანტაციების გაშენება სარგავი მასალის გამოსაყვანად, აკრეთვე სატყეო მეთესლეობის საქმის ორგანიზაცია;

სწრაფშარდი ხილის, მეურნეობრივად ძვირფასი და ტექნიკური მერქნის ჭიშების (თუთა, კაკალნაყოფიანები, ალვის ხე და სხვა) დანერგვა სატყეო-კულტურულ ფართობებზე; ტყის ფართობების ამოწრობა;

ტყის ექსპლუატაციის დარგში

ბ) სამასალე მერქნისა და შეშის დამზადების, გამოზიდვისა და მიწოდების ორგანიზაცია სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე სათანადო დაეალებებით, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მერქნისა და ნარჩენებისაგან;

თ) ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა, მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია ხე-ტყის დამზადებაზე;

ი) კონტროლი პროდუქციის ხარისხისა და მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვისადმი;

ნაკრძალებსა და ტყის ძვირფას მასივებში მეურნეობის გაძღოლის დარგში

კ) ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ნაკრძალების ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებასა და გამდიდრებას და მათი ბუნებრივი კომპლექსების აღდგენას, აკრეთვე სანაკრძალო რეჟიმის დაცვას; ისეთ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ორგანიზაცია, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ სატყეო, სოფლის და სამონადირეო მეურნეობისათვის; კავშირის განხორციელება სამინისტროებთან, უწყებებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან სახელმწიფო ნაკრძალების მეცნიერუ-



ლი და კულტურულ-აღმზრდევლობითი საქმიანობის საკითხებზე; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და სხვა ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყის ძვირფასი მასივების შენარჩუნებას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სამონადირეო მეურნეობის დარგში

ა) ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მეშაობისადმი ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობისა და სამონადირეო სპორტის დარგში და მათი საქმიანობისადმი კონტროლი;

ბ) მეშაობის ორგანიზაცია სახელმწიფო სამონადირეო ფონდის აღრიცხვისა და კვლავწარმოების, სანადირო სავარგულების გამოკვლევისა და მოწყობის დარგში, იმის გამორკვევა, თუ რამდენად სწორი და მიზანშეწონილია მათი მიმაგრება სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. ისეთ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რომლებიც მიზნობრივად სასარგებლო ნადირის სულადობისა და ფრინველის რაოდენობის შენარჩუნებისა, გადიდებისა და გაუმჯობესებისაა; სახელმწიფო სამონადირეო ფონდის დაცვის ორგანიზაცია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსპექტორებს, ტყის დაცვის, მილიციისა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო-სამეურნეო მეურნეობით;

გ) ნადირისა და ფრინველის ცალკეულ სახეობათა მოპოვების აკრძალვა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და სარეწაო ნადირისა და ფრინველის მოპოვების ოდენობის განსაზღვრა, სამონადირეო მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმების პროექტების განხილვა და მათ შესახებ დასკვნების წარდგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის; ნადირის სალიცენზიო სახეობათა რაოდენობის განსაზღვრა, იმის ნებართვების გაცემა, რომ მოკლან და დაიჭირონ ნადირი და ფრინველი სამეცნიერო, კულტურული, სამეურნეო და სპორტული მიზნებისათვის; ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის პროდუქციის დამზადების წესებისა და ვადების დაცვისადმი კონტროლი, აგრეთვე კონტროლი მონადირეთა რეგისტრაციისადმი და ნადირობის უფლებების ნებართვების გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟის აკრეფისადმი;

დ) ისეთ მტაცებელთა მოსპობის ღონისძიებათა ორგანიზაცია მონადირეთა საზოგადოებების, სახელმწიფო სამონადირეო ინსპექტორებისა და ტყის დაცვის მეურნეობით, რომლებიც ზიანს აყენებენ სახალხო მეურნეობას;

ე) დასკვნების მიცემა სამონადირეო საქურვლის საგნებზე, აგრეთვე სამონადირეო საქურვლის იმ არასტანდარტიზებული საგნების ნიმუშებისა და ტექნიკური პირობების დამტკიცება დადგენილი წესით, რომლებსაც მონადირეთა საზოგადოებების წარმომადგენლები უშვებენ.

ვ) სანადირო მეძალეობის განვითარებისადმი ხელმძღვანელობა, სანადირო ძალების საჯიშე წიგნების წარმოება და სანადირო ძალების გამოყენე-



ბის, გამოყვანის, შეჯიბრებებისა და სხვადასხვა სახის გამოცდების მოწყობის მიზნით; საზოგადოების მეშვეობით;

მინდორსაცავი ტყის გაშენებისა და საკოლმეურნეო ტყეების დარგში

რ) ტექნიკური დახმარების გაწევა კოლმეურნეობებისათვის საკოლმეურნეო ტყეების მეურნეობის ორგანიზაციისა და ვაძლოლის საქმეში და კონტროლი საკოლმეურნეო ტყეების სწორად გამოყენებისა და მათი დაცვისადმი; კონტროლი საკოლმეურნეო ტყეების დებულების დაცვისა და საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის ვაძლოლის წესების შესრულებისადმი; საკოლმეურნეო ტყეების მოწყობისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების განვითარების საქმეში კოლმეურნეობებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენისადმი ხელმძღვანელობა;

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების დარგში

ს) მთავარი სამმართველოს სისტემის სატყეო-სამეურნეო, ხე-ტყის დამამზადებელი და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისადმი ხელმძღვანელობა;

ტ) კონტროლი მასალების ხარჯვის ნორმების დაცვისადმი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საგნების სწორად გამოყენებისა და შენახვისადმი და იმისადმი, რომ შეიცვალოს დეფიციტური და ძვირად ღირებული მასალები უფრო ეკონომიური მასალებით;

უ) ტყის იმ პროდუქციის რეალიზაციისადმი ხელმძღვანელობა, რომელიც მიღებული იქნება ტყის მოვლითი ჯრისაგან, სანიტარული ჯრისაგან, ქერქვი-შიათი ახლად დაავადებული ხეების ჯრისა და მთავარი სარგებლობის ჯრისაგან, ფართო მოხმარების საამქროების პროდუქციისაგან, სარგავი მასალისა და თესლისაგან, საკორპე მუხის ქერქისაგან, თუთის ფოთლისაგან, დაფნის ფოთლისაგან, დამხმარე სასოფლო მეურნეობათა პროდუქციისა და სხვა პროდუქციისაგან, რომელსაც მიიღებენ ან გამოიმუშავენ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების საწარმოები; კონტროლი მიწოდებათა სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისადმი.

ფ) მისაწოდებელი პროდუქციის გადაზიდვის (საავტომობილო-სარკინიგზო გადაზიდვა) დაგეგმვა და კონტროლი გამოყოფილი ცარიელი ტრანსპორტის გამოყენების მიმდინარეობისადმი.



დაგეგმვის, ფინანსების, შრომისა და აღრიცხვის განყოფილების
დარგში

ქ) სატყეო მეურნეობის, ტყის ექსპლუატაციის, სამონადირეო მეურნეობის, სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის, სამეურნეო ანგარიშის საქმიანობის, შრომის, თვითღირებულების, რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების, ტვირთბრუნვის, კადრების მომზადების, კაპიტალურ დაბან-ფშათა და კაპიტალური რემონტის (პერსპექტიული, წლიური, კვარტალური და თვიური) გეგმების შედგენა, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსების და დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით ნაკრები საფინანსო გეგმების შედგენა;

ღ) დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების გეგმების, შტატებისა და დაფინანსების ლიმიტების დამტკიცება დადგენილი წესით; დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დაფინანსება დადგენილი წესით და მათი საწარმოო და საფინანსო საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელება;

ყ) ხელმძღვანელობა მუშაობისადმი სატყეო და სამონადირეო მეურნეობისათვის საჭირო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მუშათა მუდმივი კადრების შექმნის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის და შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მქანიზაციის საფუძველზე;

შ) იმ სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობა, რომლებიც ტარდება დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში;

ჩ) ხელმძღვანელობა სტატისტიკური აღრიცხვისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

ც) მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა და მათი ბალანსების დამტკიცება; პერიოდული და წლიური საბუღალტრო ანგარიშების შედგენა მთავარი სამმართველოს საქმიანობის ყველა განყოფის მიხედვით; დოკუმენტური რევიზიების ჩატარება დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

ძ) ლიტერატურის გამოცემა სატყეო მეურნეობის, ტყის ექსპლუატაციის, ნაყრდლების, სამონადირეო მეურნეობისა და სამონადირეო სპორტის საკითხებზე.

III.

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველო:



ა) განახორციელებს სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების მფლობელების ღონისძიებებს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ტანსაცმლის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

ბ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაუგზავნის საკამომიებლო ორგანოებს მასალებს ტყის წესების დამრღვევებსა და ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევებზე მათ მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისგებაში, წარუდგენს დამრღვევებს სამოქალაქო სარჩელს სატყეო მეურნეობისა და სახელმწიფო სამონადირეო ფონდისათვის მიყენებული ზარალის გამო;

გ) დააჯარიმებს იმ პირებს, რომელთაც დანაშაული მიუძღვით სანადირო ტყვია-წამლის ვაჭრობის წესების დარღვევაში 10 მანეთით და გადაახდევინებს ამ ჯარიმას დადგენილი წესით, თუ დარღვევა არ იწვევს სასჯელის უფრო მძიმე ზომებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით.

IV.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში აქვს სატყეო მეურნეობის სამმართველოები (ინსპექციები) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული სამმართველოები (ინსპექციები) თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, ისე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოსაც.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს აქვს შტაში და ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და წარწერა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველო“.



7 წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების საქმიანობის კრედიტის როლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ამონაკრები

4

წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების საქმიანობის კრედიტის როლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 14 დეკემბრის № 992 დადგენილება „წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებაში ბანკის კრედიტის როლის გაძლიერების შესახებ“ დაეგზავნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, კომუნალური მეურნეობის, მშენებლობის, ვაკრობის, საავტომობილო ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, კავშირგაბმულობის სამინისტროებს, „საქსოფლტექნიკას“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს და დაევალოს მათ:

ა) ერთი თვის ვადაში შეისწავლონ თვითეული საწარმოს მიხედვით წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა ხარჯზე წარმოების ვაუმჯობესებს შესაძლებლობანი და მიიღონ საჭირო ზომები საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის;

ბ) დაწესდეს, რომ ბანკის სესხი უნდა დაიფაროს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის საშენებლო ბანკის მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა გატარების შედეგად შექმნილი ეკონომიის, აგრეთვე იმ დამატებითი მოგების ხარჯზე, რომელიც მიღებული იქნება პროდუქციის ზეგეგმითი გამოშვებისაგან, წარმოების მექანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით;

გ) ორი თვის ვადაში განსაზღვრონ წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა გასატარებლად საჭირო მასალისა და მოწყობილობის რაოდენობა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინონ თანხითი წინადადებანი იმის გათვალისწინებით, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის საშენებლო ბანკის მიერ დაკრედიტებულ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფილ იქნას მოწყობილობითა და მასალებით პირველ რიგში შინაგანი რესურსების ხარჯზე (მასალებისა და მოწყობილობის ზენორმატიული ნაშთების, იმ მასალების ხარჯზე, რომლებიც დატოვებული იქნება მეურნეობის განკარგულებაში წარმოების ვეგემების გადაჭარბებით შესრულებისას და სხვ.).

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეაჯამოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების განაცხადები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო მეურ-



რნეობის საბჭოსათვის წარსადგენად წინადადებანი საქირო მასწავლებელთა საბჭოს წევრობის რაოდენობის შესახებ.

3. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა მისცენ შესაბამისი მითითებთა თაობაზე განყოფილებებს, რათა დაუბრკოლებლივ აძლიონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შესანიწარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებებისათვის, რომლებიც ბანკის კრედიტების ხარჯზე ხორციელდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 9 იანვარი, № 16.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დ ე ღ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 992

1964 წლის 14 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებაში ბანკის კრედიტის როლის გაძლიერების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ბანკის კრედიტის როლი წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ კრედიტებს ახალი ტექნიკის, მექანიზაციის დანერგვისა და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და წარმოების ტექნიკური სრულყოფის იმ სხვა ღონისძიებათა დანახარჯებისათვის, რომლებიც ხორციელდება კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის გადამეტებით და არ არის დაკავშირებული ახალ მშენებლობასთან, გასცემენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი საკრედიტო გეგმებით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში პირველი სესხის ვაცემის დღიდან 3 წლამდე ვადით, იმ პირობით, რომ სრულად იქნას ანაზღაურებული დანახარჯები და დაიფაროს სესხი ამ ვადის განმავლობაში წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად შექმნილი ეკონომიის, აგრეთვე იმ დამატებითი მოგების ხარჯზე, რაც მიღებულია პროდუქციის ზეგეგმიით გამოშვებიდან აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებასთან დაკავშირებით.

უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის რესპუბლიკური (მოკავშირე რესპუბლიკების) კანტორების ხელმძღვანელებს ნება დართონ ცალკეულ შემთხვევებში მიეცეთ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს აღნიშნული კრედიტები 5 წლამდე ვადით დღიდან პირველი სესხის ვაცემისა.

2. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს აძლიონ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს:

ა) კრედიტი წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებლად საჭირო სადგომების გადაკეთების ხარჯებისათვის, თუ სადგომების გადაკეთების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება არ აღემატება ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების საერთო თანხის 30 პროცენტს;

ბ) კრედიტი წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა გასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად იმ პირობით, თუ ამ დოკუმენტაციის შემუშავებას ეწევა გარეშე ორგანიზაცია.



აღნიშნული კრედიტი გაიცემა წარმოების ტექნიკური სრულყოფილებისთვის გატარებისათვის საჭირო დანახარჯების იმ საერთო ჯამში, რაც განისაზღვრება ამ ხარჯების ეფექტიანობის წინასწარი გაანგარიშებით.

3. ამ დადგენილების 1 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯებისათვის კრედიტები გაიცეს:

ა) 50 ათას მანეთამდე ერთი ღონისძიებისათვის — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის განყოფილების მმართველის (კანტორის საქალაქო სამმართველოს უფროსის) ნებართვით საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების შუამდგომლობით;

ბ) 200 ათას მანეთამდე ერთი ღონისძიებისათვის — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, სამხარეო და საქალაქო კანტორის ხელმძღვანელის ნებართვით და 300 ათას მანეთამდე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის რესპუბლიკური (მოკავშირე რესპუბლიკის) კანტორის ხელმძღვანელის ნებართვით სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, მათი შთავარი სამმართველოების (სამმართველოების), ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო აღმასკომების შუამდგომლობით;

გ) 300 ათას მანეთზე მეტი თანხის ოდენობით ერთი ღონისძიებისათვის — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ან მათი მოადგილეების ნებართვით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების შუამდგომლობით.

4. დაწესდეს, რომ წარმოების ტექნიკური სრულყოფის იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი აკრედიტებენ, უზრუნველყოფილ უნდა იქნას მასალებითა და მოწყობილობით პირველ რიგში შინაგანი რესურსების ხარჯზე (მასალებისა და მოწყობილობის ზენორმატიული ნაშთების, იმ მასალების ხარჯზე, რომლებიც დატოვებული იქნება მეურნეობის განკარგულებაში წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისას და სხვ.).

სსრ კავშირის სახელმწიფო საეგგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებთა განაცხადებით, გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებით წარმოების ტექნიკური სრულყოფის იმ ღონისძიებათა ვასატარებლად საჭირო მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფა, რომლებიც ხორციელდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კრედიტების ხარჯზე.



5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა განყოფილებამ, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად, წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის შთაერობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლებიან ამ დადგენილებების მიღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. კოსიბიძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე მ. სმირტიშკოვი.

8 იმ გადასახდებინებელი ზარალის ოდენობის გამოსაანგარიშებელი ნიხრის დამტკიცების შესახებ, რაც მოსახლეობამ მიაყენა სახელმწიფოს საქართველოს სსრ წყალსატევებში ძვირფასი ჯიშის თევზის უკანონო ზედიზედ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ბრძოლა თევზის უკანონო ჭერის წინააღმდეგ და გადიდდეს მეთევზეობის წესების დამრღვევთა მატერიალური პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რაც ძვირფასი ჯიშის თევზის მარაგს მოუვიდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღგენს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1965 წლის 1 იანვრიდან იმ გადასახდებინებელი ზარალის ოდენობის გამოანგარიშების ნიხრი, რაც მოსახლეობამ მიაყენა სახელმწიფოს საქართველოს სსრ წყალსატევებში ძვირფასი ჯიშის თევზის უკანონო ჭერით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. შირაძე.



საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 9 თებერვლის № 113/ა
დადგენილების დანართი

ნ ი ბ რ ი

იმ გადასახდევინებელი ზარალის ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რაც მოსახლეობამ მიიყენა სახელმწიფოს ძვირფასი ჭიშის თევზის უკანონოდ კერით საქართველოს სსრ წყალხატევებში

თევზის დასახელება	გადახდევინების ოდენობა (მანეთობით) თვითუღწეულ უკანონოდ დაჭერილ თევზისათვის (დამოუკიდებლად თევზის ოდენობისა და წონისა)
სვია	60
თართი	30
ორაგული	20
ქიშხლა-კალენი	5
კეფალი	3
სტერიდულა შვეიზლვის	0,5
კალმახი	2
ბრაბული, კანარი, შერწა	1
შამია	1
ქაფალა	1
ჯობრი	2
სივი	2
კაპარჭინა	1

შენიშვნა: თართისა და ორაგულის ჭიშის თევზის ბიზილალის უკანონო დამზადებით მიყენებული ზარალისათვის გადახდება მისი ღირებულება უშუალოდ ხარისხის ბიზილალის მოქმედი საცალო ფასების ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. შირაძემძე.



9 იმ სადგომების ქირის დაწესების შესახებ, რომლებიც მხატვრულ-პლაკატულ და მოქანდაკეებს უკავიათ შემოქმედებით სახელმწიფოში.

იმ მიზნით, რომ დაწესდეს იმ სადგომების ქირის ერთგვაროვანი განაკვეთები, რომლებიც მხატვრებსა და მოქანდაკეებს უკავიათ შემოქმედებით სახელმწიფოში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ მხატვართა კავშირის წევრები და წევრობის კანდიდატები, რომლებსაც შემოქმედებით სახელმწიფოში უკავიათ მანსარდული ტიპის სადგომები მათ საფასურს იხდიან თვეში ბინის ქირის მაქსიმალური განაკვეთის — 13,2 კაპიკის ოდენობით ერთ კვადრატულ მეტრში, ამასთან თავისუფლდებიან სახლმშენებლობის საექსპლუატაციო ხარჯების გადახდისაგან. კომუნალური მომსახურებისა და ცენტრალური გათბობის საფასურს აანაზღაურებენ მობინადრებისათვის დაწესებული ტარიფებით.

2. მხატვართა კავშირის წევრები და წევრობის კანდიდატები, რომლებსაც აღებული აქვთ იჯარით შემოქმედებით სახელმწიფოში არასაცხოვრებელი სადგომები, მათ საფასურს იხდიან თვეში 20 კაპიკის ოდენობით ერთ კვადრატულ მეტრში, ან 2 მან. და 40 კაპიკს წელიწადში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩოგვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 9 იანვარი № 19.

10 „ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო მონოპოლიის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების მე-9 პუნქტის რედაქციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო მონოპოლიის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ერთი და იმავე ავტორის ნაწარმოებებიდან გადაბეჭდილი ტექსტობრივი მასალებისათვის, რომლებიც შეტანილია კრებულებში, ქრესტომათიებში, სახელმძღვანელოებსა და სხვა გამოცემებში, თუ ისინი მოცულობის მიხედვით არ აღემატებიან ერთი სახელწოდების ნაწარმოებში 10 ათას სასტამბო ნიშანს პროზისათვის და 40 სტრიქონს ლექსისათვის, — აღნიშნულ გამოცემათა ავტორებს მონოპოლიის მიეცემათ როგორც ორიგინალურ ნაწარმოებთა ავტორებს.



იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე ავტორის ტექსტობრივი მასალები უკლებლივ აღნიშნულ ნორმებზე ზევით, გამოცემათა ავტორებს მთელი გადაბეჭდილი ტექსტისათვის პონორარი მიეცემათ როგორც შემდგენლებს.

სახელმძღვანელოებში, ქრესტომათიებსა და სხვა სასწავლო ლიტერატურაში მოთავსებული ნაწარმოებნი იმ შემთხვევებში, როდესაც მათზე უნდა გაიკეს საავტორო პონორარი, ანაზღაურდება ჩვეულებრივი გამოცემის მინიმალური განაკვეთებით, დამოუკიდებლად ტირაჟისა*.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ბ. შირაძეძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 9 იანვარი, № 22.

II მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების შტატებში ცვლილებათა შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 25 დეკემბრის № 738 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სტრუქტურაში ვაჭრობის განყოფილებები, რის გამო გამოირიცხოს პირველი და მეორე ჯგუფის რაიონების საშტატო განრიგებიდან ვაჭრობის განყოფილების გამგის თანამდებობანი.

2. დაწესდეს პირველი ჯგუფის რაიონების აღმასკომების შტატებში, ვარდა მცხეთის, ბოლნისის და ყვარლის რაიონებისა, რაილმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა 140 მანეთის განაკვეთი თვეში. მეორე ჯგუფის რაიონებში რაილმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობა დაეკისროს აღმასკომის განყოფილების ერთ-ერთ გამგეს, რომელსაც მიეცეს დამატებითი გასამრჩელო დადგენილი წესით თვეში 130 მანეთამდე (ძირითადი სამუშაოს თანამდებობრივი განაკვეთის ჩათვლით). პირველი ჯგუფის რაიონებში — მცხეთის, ბოლნისისა და ყვარლის რაიონებში — რაილმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობა დაეკისროს აღმასკომის განყოფილების ერთ-ერთ გამგეს, რომელსაც მიეცეს დამატებითი გასამრჩელო თვეში 140 მანეთის ოდენობით (ძირითადი სამუშაოს თანამდებობრივი განაკვეთის ჩათვლით).

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების (ცხინვალის, ტყიბულისა და კიათურის) შტატებში აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რის გამო გაუქმდეს აღნიშნული აღმასკომების შტატებში ეს თანამდებობანი, რომლებიც გათვალისწინებულია შეთავსებით.

3. შეიქმნას ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან კომუნალური და საგზაო მეურნეობის განყოფილება, ხოლო ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღ-



მასკომთან — კულტურის განყოფილება, ამასთან დაკავშირებით განყოფილებაში ხოს ტყიბულის საქალაქო აღმასკომის საშტატო განრიგიდან შემდეგი თანამდებობანი: 1 არქიტექტორ-ინსპექტორი 88 მანეთის განაკვეთით, 1 ბუღალტერი — 50 მანეთის განაკვეთით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა 1 ინსპექტორი — 60 მანეთის განაკვეთით.

4. ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შტატში გათვალისწინებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ამიერიდან ეწოდოს კულტურის განყოფილება.

5. ჭიათურისა და ცხინვალის საქალაქო საბჭოების აღმასკომების კომუნალურ განყოფილებას ეწოდოს კომუნალური და საგზაო მეურნეობის განყოფილება, დაეკისროს ამ განყოფილებას საგზაო სამუშაოების შესრულება სოფელ ადგილებში, რის გამოც ნება დაერთოს ჭიათურის, ცხინვალისა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ საგზაო სამუშაოებზე ინჟინრები საგზაო მშენებლობის სპეციალური შემოსავლის ხარჯზე.

6. ჭიათურის, ცხინვალისა და ტყიბულის საქალაქო აღმასკომებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 25 დეკემბრის № 738 დადგენილებით გამოყოფილი შტატის ხარჯზე, აგრეთვე ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შტატიდან იმ ზოგიერთი თანამდებობის გამოორიციების ხარჯზე, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილების მე-3 პუნქტში, შემოღებულ იქნას ამ აღმასკომების შტატებში დამატებითი თანამდებობანი დანართის თანახმად.

7. ჭიათურის საქალაქო აღმასკომის არქიტექტურის განყოფილებაში შემცირდეს ინჟინერ-არქიტექტორის თანამდებობა თვეში 110 მანეთის განაკვეთით, გამოირიცხოს გარდაბნის რაიონული საბჭოს აღმასკომის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების შტატიდან ინჟინერ-არქიტექტორის თანამდებობა თვეში 98 მანეთის განაკვეთით.

8. შემოღებულ იქნას დუშეთის, გარდაბნის, ლანჩხუთის, მესტიის, საგარეჯოსა და ჩოხატაურის რაიონული საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა შტატში თითო თანამდებობა უფროსი ბუღალტრისა თვეში 60 მანეთის განაკვეთით, ხოლო ყაზბეგის, მარნეულის, ქარელის, თიანეთისა და ბოგდანოვკის რაიონული საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილების შტატში — თითო თანამდებობა ბუღალტრისა თვეში 55 მანეთის განაკვეთით, ამასთან გამოირიცხოს ამ განყოფილებათა საშტატო განრიგიდან სტატისტიკოსთა თანამდებობანი.



საქართველოს
სსრ მინისტრთა

- 9.1
10. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რაიონალურ კომების აპარატის შესანახი ხარჯების თანხის განსაზღვრისას გაითვალისწინოს შტატის შეუვსებლობის ხარჯზე ხელფასის მომჭირნეობა 700 მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაზაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 13 იანვარი, № 25.

1. არ არის მოყვანილი.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ
1965 წლის 13 იანვრის დადგენილებას დანართი

დამატებითი შტაბი

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საქალაქო და რაიონული
საბჭოს აღმასკომისა

თანამდებობათა დასახელება	სამსტატუს ერთეულების რაოდენობა	თანამდებობ- ათი განა- კვეთი	ბელფისის თეთრი ფილა
ციხნავლის საქალაქო აღმასკომი			
კულტურის განყოფილების გამგე	1	83	83
აღმასკომის ინსტრუქტორი	1	36	36
აღმასკომის მსუბუქი ავტომანქანის შოფერი	1	58	58
აღმასკომის საქმისმწარმოებელი არქივარიუსი	1	36	36
სულ	4	—	213
კიათურის საქალაქო აღმასკომი			
აღმასკომის მსუბუქი ავტომანქანის შოფერი	1	58	58
აღმასკომის ცეცხლფარეში	1	30	30
სულ	2	—	88
ტყიბულის საქალაქო აღმასკომი			
კომუნალური და საგზაო განყოფილების გამგე	1	79	79
არქიტექტორი	1	88	88
კომუნალური განყოფილების უფროსი ბელალტერი	1	60	60
აღმასკომის ინსტრუქტორი	1	36	36
აღმასკომის მსუბუქი ავტომანქანის შოფერი	1	58	58
სულ	5	—	321
გაგრის რაიონაღმასკომი			
რაიონული არქიტექტორი	1	88	88
წუადტუმოს რაიონაღმასკომი			
რაიონული არქიტექტორი	1	88	88
პორჯომის რაიონაღმასკომი			
რაიონული არქიტექტორი	1	88	88
ზუგდიდის რაიონაღმასკომი			
რაიონული არქიტექტორი	1	88	88
სულ	15	—	974

შენიშვნა: საბელალტრო აღრიცხვის წარმოება ტყიბულის, კიათურისა და ციხნავლის საქალაქო აღმასკომის კულტურის განყოფილებებში დაეცისროს საქალაქო აღმასკომების უფროს ბელალტრებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქენთა მმართველი **პ. შირაძე**,



12 მიწის სავარგულები, მათი ნიადაგობრები, ნიადაგობრივი ფენების შერჩევისა და ანალიზების წარმოების, ნიადაგობრივი რუკებისა და აგროქიმიური კარტოგრაფიის შედგენის სამუშაოთა ღირებულების ფასდების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს 1965 წლისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთო-საკავშირო ინსტრუქციის საფუძველზე შემუშავებული დროებითი ფასდება მიწის სავარგულების ნიადაგობრივი გამოკვლევის, მათი ნიადაგობრივი ნიმუშების შერჩევისა და ანალიზების წარმოების, ნიადაგობრივი რუკებისა და აგროქიმიური კარტოგრაფიის შედგენის სამუშაოთა ღირებულებისა და შემოღებულ იქნას იგი სამოქმედოდ 1965 წლის 1 იანვრიდან, როდესაც ამ სამუშაოებს შეასრულებენ ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებით.

2. დავალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დააწესოს შესასრულებელი სავსე და ლაბორატორული სამუშაოების და მათი დროებითი ფასდებით შემოღებული ანაზღაურების საფუძველზე, საბოლოო და ყველაზე დასაბუთებული ფასდება ყველა სახეობის აღნიშნული სამუშაოებისათვის და განსაზღვრულად წარმოადგინოს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს 1965 წლის 1 ნოემბრისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 13 იანვარი, № 26.

13 სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 923 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების ზომების შესახებ“ დაეგზავნოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და დავალოთ მათ დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონის-



ძიებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილებების შესახებ რეზოლუციას
რეზოლუციად, კერძოდ:

ა) მიიღონ ზომები, რათა უკეთ მოეწყოს საბუღალტრო აღრიცხვა მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკის ფართოდ გამოყენებისა და აღრიცხვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის გზით.

ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისათვის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსაგან ინსტრუქციების მიღების შემდეგ შეადგინონ ცენტრალიზებულ საბუღალტრო აღრიცხვაზე გადასვლის კალენდარული გეგმა (პირველ რიგში ერთგვაროვან და მცირე საწარმოებსა და ორგანიზაციებში).

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ საჭირო დახმარება გაუწიონ სამინისტროებს უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში;

ბ) ამ დადგენილების მიღებიდან ერთი დეკადის ვადაში გაამრავლონ და დაეგზავნონ ყველა დაქვემდებარებულ საწარმოს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას დებულება მთავარი (უფროსი) ბუღალტრების შესახებ;

გ) მიმდინარე წლის იანვარში მოიწვიონ მთავარი (უფროსი) ბუღალტრების საინსტრუქციო თათბირი და დაწვრილებით გააცნონ მათ დებულება მთავარი (უფროსი) ბუღალტრების შესახებ.

ამ თათბირებზე განიხილონ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საბუღალტრო აღრიცხვის გასაუმჯობესებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო და კოოპერაციულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დაცვა-შენახვა;

დ) ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეყვანილ იქნას მთავარი ბუღალტრები შესაბამისი კოლეგიალური ორგანოების (კომიტეტების, კოლეგიების, გამგეობების, საბჭოების) შემადგენლობაში;

ე) ცენტრალიზებული აღრიცხვის შემოღების მიხედვით შეამცირონ სააღრიცხვო-საანგარიშო სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თვალყურის ადევნოს ამ ღონისძიების შესრულებას.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა, ვაჭრობის და მშენებლობის სამინისტროებმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მიავლინონ მოსკოვში თავიანთი მუშაკები ცენტრალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის მუშაობის გამოცდილების შესასწავლად.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, შესაბამის ადგილობრივ და რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზან-



ნია საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვების შესრულების საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაციას 1965-1966 წლებში, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლებისა და სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების, სამკურნალო-პროფილაქტიკური და საოლქო და რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფი სხვა დაწესებულებების გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზებული ბუღალტერიების მოწყობა დიდ ქალაქებში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წარმოდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის აღმასკომებთან შეთანხმებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს 1965 წელს 12 სამანქანო-საანგარიშო სადგური რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გამოუყონ საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სათანადო სადგომები სამანქანო საანგარიშო სადგურების მოსაწყობად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაუმჯობესდეს კადრების მომზადება სამანქანო-საანგარიშო სადგურებში და თანამედროვე გამოსათვლელ მანქანებზე სამუშაოდ.

6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შეკვეთით დაამზადოს 1965 წლის პირველ ნახევარში ინვენტარი ახლადმოწყობილი სამანქანო-საანგარიშო სადგურებისათვის.

7. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა არა უგვიანეს 1965 წლის 15 აპრილისა მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, თუ რა ზომები მიიღეს მათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 923 დადგენილების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ბ. შირაძეძე.**



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დ ა ღ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 923

1964 წლის 6 ნოემბერი

მოსკოვი, კრემლი

სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელდა ერთგვარი ღონისძიებანი საბუღალტრო აღრიცხვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მაგრამ საბუღალტრო აღრიცხვის დაყენება ჯერ კიდევ არ შესაბამეობა გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის განვითარების დონეს და გაზრდილ მოთხოვნილებებს.

თანამედროვე პირობებში, როდესაც წარმოების მასშტაბები განუზომებლად გაიზარდა, მეურნეობისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღრიცხვის მონაცემები დროულად იძლეოდნენ წარმოების მდგომარეობის სრულ სურათს. ამავ დროს საბუღალტრო აღრიცხვა ბევრ სამრეწველო საწარმოში, სამშენებლო ორგანიზაციებში, კოლხეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვერ უპასუხებს ამ მოთხოვნებს, ეს აღრიცხვა ყოველთვის როდია ზუსტი და ბევრ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სათანადო კონტროლს მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სასრების სწორად და ეფექტიანად გამოყენებისადმი.

თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკა საშუალებას გვაძლევს ძირეულად გაუმჯობესოთ საბუღალტრო აღრიცხვა ჩვენს ქვეყანაში მექანიზაციის საშუალებათა ფართოდ გამოყენებისა და აღრიცხვის პროგრესული ფორმების გამოყენების დანერგვის გზით, მაგრამ ამ საქმეს სერიოზულად უშლის ხელს აღრიცხვის მეტისმეტი დაქსაქსევა მრავალრიცხოვან წვრილ ბუღალტერიებში არსებულ თუნდაც მცირე, დაწესებულებას ან ორგანიზაციას აქვს თავის განცალკევებული ბუღალტერია, ხოლო საწარმოებში, საერთო-საქარხნო ბუღალტერიებთან ერთად, მოწყობილია აგრეთვე ბუღალტერიები საამქროებსა და სხვა ქვეგანყოფილებში. საბუღალტრო აღრიცხვის ასეთი ორგანიზაციისა და მისი ტექნიკური ჩამორჩენილობის შედეგად, აღრიცხვის წარმოებაზე დასაქმებულია დიდძალი ხალხი, რაც იწვევს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შენახვის ზედმეტ ხარჯებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სახელმწიფო კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები არ იღებენ სათანადო ზომებს საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაციისათვის, არ არის გამოყენებული არსებული ხელსაყრელი პირობები მრეწველობის, მშენებლო-



ბის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის, სასაზღვაო და სხვა დარგების ერთგვაროვანი საწარმოებისა და ორგანიზაციების შემსრულებლობის გასაერთიანებლად, ნელი ტემპებით მიმდინარეობს აღრიცხვის ცენტრალიზაცია საბუღალტრო დაწესებულებებში. ბევრი საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელები არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას აღრიცხვის სწორი ორგანიზაციისა და სრულყოფისათვის, მისი გათვალისწინებისათვის, ვერ ათვისებენ საბუღალტრო აღრიცხვის როლს სამეურნეო ანგარიშის და მომჭირნეობის რეჟიმის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

ასევე ითი ნაკლოვანებანი ახასიათებენ საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობასაც სახალხო მეურნეობის დარგებში. ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ერთიანი სისტემის უქონლობა, ხოლო მთელ რიგ შემთხვევაში — პირველადი დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების უქონლობა აგრეთვე აფერხებს გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა ფართოდ დანერგვას.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტთა მომზადებას, რის გამო აღრიცხვის წარმოებას ხშირად არასაკმარის კვალიფიცირებულ მუშაკებს ანდობენ.

საბუღალტრო აღრიცხვის შემდგომი სრულყოფისა, სახალხო მეურნეობაში ეკონომიური მუშაობისა და კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების, აგრეთვე სამმართველო აპარატის შემდგომი შემცირებისა და გათვალისწინების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ ზომები, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაცია დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციის, თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკის ფართოდ გამოყენებისა და აღრიცხვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის საფუძველზე.

იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვა, რომელთა სააღრიცხვო სამუშაოების მოცულობა დიდი არ არის, თავმოყრილ უნდა იქნას ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან, მათს სამმართველოებსა და განყოფილებებში, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებში, ტრესტებში, კომბინატებსა და სხვა სამეურნეო გაერთიანებებში, ამასთან ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა არსებული ბუღალტერიები უნდა გაუქმდეს. ცენტრალიზებული ბუღალტერიების სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაციის მექანიზებული დამუშავება დაეკისროს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამანქანო-საანგარიშო სადგურებს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა დაამ-



ტყიკონ კონკრეტული ღონისძიებანი სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის უზრუნველყოფისათვის, ამასთან მხედველობაში მჭიდროდ მისწრაფებანი, რომ საქირია:

ა) განახორციელონ 1965-1966 წლებში საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესრულების საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაცია. ცენტრალიზებული ბუღალტერიების მოწყობისას, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, გაითვალისწინონ დაწესებულებების ტერიტორიული განლაგება და კავშირის პირობები იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სათანადო მოხერხებულობის შექმნა ამ ბუღალტერიებზე მიმავრებულ დაწესებულებათა მომსახურების საქმეში;

ბ) შეუდგნენ 1965 წელს საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლებისა და სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციების, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სხვა დაწესებულებების გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზებული ბუღალტერიების მოწყობას დიდ ქალაქებში;

გ) მოაწიონ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო საოლქო ცენტრებში და სხვა დიდ ქალაქებში ცენტრალიზებული (დარგობრივი) ბუღალტერიები მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა დარგების ერთგვაროვანი, სამუშაოთა მცირე მოცულობის მქონე საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის;

დ) მოახდინონ დიდ და საშუალო საწარმოებში სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაცია საქარხნო სამმართველოებში და ამასთან დაკავშირებით გააუქმონ იქ, სადაც საშუალებას იძლევა საამისო პირობები, ბუღალტერიები საამქროებსა და სხვა ქვეგანყოფებში.

საამქროებისა და სხვა ქვეგანყოფების ბუღალტერიები შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ ცალკეულ საწარმოებში სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით;

ე) ჩაატარონ საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაცია საწარმოო გაერთიანებებში (ფირმებში). ამ გაერთიანებებში აღრიცხვის დეცენტრალიზაცია შეიძლება დაშვებულ იქნას შესაბამისი სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით.

2. დავალის სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს:

ა) უზრუნველყოს ცენტრალიზებული ბუღალტერიების სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაციის მექანიზებული დამუშავება სტატისტიკური სამმართველოების, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების სამანქანო-საანგარიშო სადგურებში (ბიუროში), ამასთან იქონიონ მხედველობაში სამანქანო-საანგარიშო სადგურების (ბიუროს) გამოსათვლელი ტექნიკის რაც შეიძლება სრულად დატვირთვა, ცენტრალიზებული ბუღალტერიების მომსახურება სამანქანო-საანგარიშო სადგურების მიერ მოხდეს სახელშეკრულებო საწყისებზე;



ბ) მოაწყოს 1964-1965 წლებში სამანქანო-საანგარიშო მარკეტინგის სტატისტიკური სამმართველოების სამანქანო-საანგარიშო სადგურების ფუნქციონირების ალბომი ქალაქებსა და რაიონებში, რომლებსაც გამოსათვლელი სამუშაოების დიდი მოცულობა აქვთ და რომლებშიაც ამაჟამად არ მოიპოვება სამანქანო-საანგარიშო სადგურები, ცენტრალიზებული ბუღალტერიებისათვის მომსახურების გასაწევად, აგრეთვე იმისათვის, რომ მექანიზებულად დამუშავდეს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაცია, გეგმური და სხვა ეკონომიური გაანგარიშებანი, № 1 დანართით) გათვალისწინებული რაოდენობით.

გამოყოს ამ სადგურებისათვის საანგარიშო მანქანები № 2) დანართით გათვალისწინებული რაოდენობით;

გ) 1965 წლის 1 მაისისათვის წარმოდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაციის და ეკონომიურ გაანგარიშებათა მექანიზებული დამუშავების შემდგომი ვაფართოების შესახებ, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ მოეწყოს საჭირო რაოდენობის სამანქანო-საანგარიშო სადგურები, აგრეთვე აქტურვილ იქნან სამანქანო-საანგარიშო სადგურები გამოსათვლელი ტექნიკის ახალი საშუალებებით, მათ შორის ელექტრონული გამოსათვლელი მანქანებითაც;

დ) სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს, საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ცენტრალიზებული ბუღალტერიების სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაციის მექანიზებული დამუშავების ტიპობრივი პროექტები და უზრუნველყოს ამ პროექტებით ყველა სამანქანო-საანგარიშო სადგური 1965 წლის 1 ივლისისათვის.

საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ცენტრალიზებული ბუღალტერიების, აგრეთვე საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ცენტრალიზებული (დარგობრივი) ბუღალტერიების სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაციის მექანიზებული დამუშავების ტიპობრივი პროექტები შეადგინონ ამ ცენტრალიზებული ბუღალტერიების მოწყობასთან ერთად, დაწესდეს, რომ აღნიშნული ტიპობრივი პროექტების შედგენის სამუშაოები დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

ე) გადიდდეს პერფორუკების წარმოება იმ ანგარიშით, რომ სავსებით დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება პერფორუკებზე.

3. დავალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს:

ა) სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და სსრ კავშირის შესაბამის სახელმწიფო კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1965 წლის 1 აპრილამდე მეთოდური მითითებანი რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში ვასაელის ხარჯთაღრიცხვების შესრულების აღრიცხვის შესახებ;

1. არ არის მოყვანილი.

2. არ არის მოყვანილი.



ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან ერთად შეიმუშაოს და დაეწესოს ციკლოს ღონისძიებანი ცენტრალიზებულ ბუღალტერიებზე მიმართული წარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საანგარიშო და საკასო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

4. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) შეამცირონ 1965 წლის 1 იანვრიდან საშუალოდ 10-15 პროცენტით იმ სამუშაოთა ფასდება, რომლებსაც ასრულებენ გამოსათვლელი ცენტრები, მექანიზებული აღრიცხვის ფაბრიკები, სამანქანო-საანგარიშო სადგურები (ბიუროები);

ბ) განახორციელონ ღონისძიებანი იმ მომსახურების თვითღირებულების შემცირებისათვის, რომელსაც უწყვენ დაქვემდებარებული გამოსათვლელი ცენტრები, მექანიზებული აღრიცხვის ფაბრიკები, სამანქანო-საანგარიშო სადგურები (ბიუროები), და უზრუნველყონ მათი უზარალო მუშაობა.

5. დაევალოთ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, შესაბამისი სახალხო მეურნეობის საბჭოების, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველადი სააღრიცხვო საანგარიშო დოკუმენტაციის ფორმების შემდგომ სრულყოფასა და გამარტივებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მის უნიფიკაციას.

6. დამტკიცდეს თანდართული დებულება სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარი (უფროსი) ბუღალტრების შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ საკითხი, რომ შეეყვანილ იქნან სახალხო მეურნეობის საბჭოების, მშენებლობის მთავარი ტერიტორიული სამმართველოების, სახელმწიფო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების მთავარი ბუღალტრები შესაბამისი კოლგეიური ორგანოების (კომიტეტების, კოლგეიების, გამგეობებისა და საბჭოების) შემადგენლობაში.

7. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში საბუღალტრო აღრიცხვისა და მისი მექანიზაციის სპეციალისტთა მომზადების გაფართოება და გაუმჯობესება, უმთავრესად პრაქტიკულ მუშაობა დაუსწრებელი და საღამოს სწავლების გზით.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გაითვალისწინონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმით უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტთა საჭირო რაოდენობის მომზადება.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს საანგარიშო დარგის მუშაობა მივლინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილებით გათვალისწინებული წესით უმაღლეს და საშუალო სპეციალურ



სასწავლებლებში, სადაც ისინი შეისწავლიან საბუღალტრო სპეციალიზაციის სპეციალობას აღრიცხვის მექანიზაციის დარგში.

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა გააფართოონ პრაქტიკა საანგარიშო დარგის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კურსებზე.

8. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოამზადოს სასწავლო კომბინატებსა და სკოლებში ოპერატორები, მექანიკოსები და დამპროექტებლები სამანქანო-საანგარიშო სადგურებისათვის, № 3¹) დანართით გათვალისწინებული რაოდენობით.

შეუნარჩუნდეთ მოსწავლეებს, რომლებიც მივლინებული არიან სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატებსა და სკოლებში აღრიცხვის მექანიზაციის სპეციალობის შესაძენად, თანამდებობრივი განაკვეთები (სატარიფო სარგო) მათ მიერ დაკავებული თანამდებობის მიხედვით, ხოლო სხვა ქალაქელ მოსწავლეებს, გარდა ამისა, აძლიონ სწავლების დროისათვის დღიურების ნაცვლად ოც-ოცი მანეთი თვეში, თუ შენარჩუნებული ხელფასი არ აღემატება 100 მანეთს თვეში.

9. გავრცელდეს სექტორების (ჯგუფების) ხელმძღვანელ ბუღალტრებსა და უფროს ბუღალტრებზე, რომლებიც სათავეში უდგანან საბუღალტრო აღრიცხვის ცალკეულ უბნებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, დაჯილდოების წესი, რაც გათვალისწინებულია ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის.

10. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ, აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის განსაზოგოვებელ ღონისძიებათა საფუძველზე, სააღრიცხვო-საანგარიშო სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შემცირება საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმით და სახელმწიფო ბიუჯეტით იმ სააღრიცხვო-საანგარიშო პერსონალის რაოდენობის შემცირება, რომელიც განთავისუფლდება აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციისთან დაკავშირებით.

11. რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ იმ მუშაკთა გადაყვანა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაოდ, რომლებიც გათავისუფლებული იქნებიან სამმართველო აპარატიდან აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის ღონის-

1. არ არის მოყვანილი.



ძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით, ამასთან მოაწყონ საქართველოს შემთხვევაში მათთვის საწარმოო პროფესიების სწავლება.

დაწესდეს, რომ აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ შეღავათები და უპირატესობანი, რომლებიც ვითვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 28 მაისის № 595 დადგენილების მე-3 პუნქტით.

12. დაევალოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დებუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს საჭირო დახმარება გაუწიონ სტატისტიკურ ორგანოებს სამანქანო-საანგარიშო სადგურების მოწყობასთან და გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, გამოყონ მათთვის ვარგისი საწარმოო სადგომები, დაუთმონ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატებსა და სკოლებს სადგომები, რომლებიც გამოსადეგი იქნება აღრიცხვის მექანიზაციის კურსების მოსწავლეთა სასწავლო მეცადინეობისა და საერთო საცხოვრებლებისათვის, ამასთან დააწესონ ამ სადგომების საიჯარო ჭირა იმ ღონეზე, რაც ვითვალისწინებულია ბიუჯეტზე მყოფი სასწავლებლებისათვის.

ნება დაერთოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს აწარმოონ 1964-1965 წლებში, საჭირო შემთხვევებში, საწარმოო სადგომების გადაკეთება ან მშენებლობა სამანქანო-საანგარიშო სადგურებისა და ცენტრალური ბულატერიებისათვის, რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის ხარჯზე.

13. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ახალი სამანქანო-საანგარიშო სადგურები, მათი სამოქმედოდ გადაცემის მომენტიდან, ექვსი თვის განმავლობაში დაფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ხოლო შემდეგ გადაყვანილი იქნებიან სამეურნეო ანგარიშზე. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარდგენით გააგრძელოს ცალკეული სამანქანო-საანგარიშო სადგურების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დაფინანსების ვადები, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვისა.

14. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს სახალხო მეურნეობის 1965 წლის გეგმის მაჩვენებლების დაზუსტების დროს ვაითვალისწინოს პერფორუკის ქალაქის გამოშვება არანაკლებ 16 ათასი ტონისა და 1966 წლის გეგმის პროექტით — არანაკლებ 25 ათასი ტონისა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ვაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის გეგმებით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის კაპიტალური დაბანდებანი საანგარიშო მანქანების, მოწყობილობის და სატრანსპორტო საშუალებათა შესაძენად, მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდები იმ ოდენობით, რაც საჭიროა ამ დადგენილების შესაბამისად ახლად მოწყობილი სამანქანო-საანგარიშო სადგურების სრული უზრუნველყოფისათვის. გაუდიდდეს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს



1964 წლისათვის დაწესებული მუშაკთა საშუალო წლიური რაოდენობის მნიშვნელობით და ხელფასის ფონდი — 240 ათასი მანეთით.

15. დაევალოს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დამატებით შეისყიდოს 1965 წელს სამანქანო-საანგარიშო სადგურებისათვის, რომლებიც ეწევიან ცენტრალიზებული ბუღალტერიების სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაციის დამუშავებას:

ა) 428 საბუღალტრო მანქანა „სკოტა“, აგრეთვე გადასაღებ-გასამრავლებელი მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები 350 ათასი მანეთის ოდენობით (სოციალისტურ ქვეყნებში) სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სპეციფიკაციის მიხედვით;

ბ) 5 ათასი ტონა პერფორუქის ქაღალდი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სავალუტო გეგმით გაითვალისწინონ ამ მიზნებისათვის საჭირო ასიგნობანი.

16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) უზრუნველყოს, რომ პოლიგრაფიული მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მოსკოვის ექსპერიმენტულმა ქარხანამ დაამზადოს და მიაწოდოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს 1964—1966 წლებში 80 საბეჭდო მანქანა „აკ“ პერფორუქების წარმოებისათვის, ბაზინსაქრელი 40 მანქანა „აკრ“, სათადარიგო საბეჭდო ფოლადის დოლები და ამ მანქანების სათადარიგო ნაწილები სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული სპეციფიკაციითა და რაოდენობით;

ბ) დაამზადოს ცენტრალიზებული წესით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს შეკვეთებით სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაციის ბლანკები ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ცენტრალიზებული ბუღალტერიებისათვის.

† სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ დამატებით გამოუყოს 1964 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს აღნიშნული მიზნებისათვის 3000 ტონა ქაღალდი, მათ შორის 2700 ტონა საწერი ქაღალდი და 300 ტონა საბარათო ქაღალდი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ, 1965 წლის გეგმის მაჩვენებლების დაზუსტების დროს გაითვალისწინონ ქაღალდის ფონდის ვადიდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისათვის 3500 ტონით, მათ შორის საწერი ქაღალდისა — 3150 ტონით და საბარათო ქაღალდისა — 350 ტონით.

17. დაევალოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს და ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და სსრ კავშირის რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ

გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

18. გამოეყოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს 1964 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან ახალი სამანქანო-საანგარიშო სადეურების მოსაწყობად 4560 ათასი მანეთი, აქედან 3600 ათასი მანეთი საანგარიშო და სხვა მოწყობილობის ასანაზღაურებლად.

19. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებმა, საშინისტროებმა და უწყებებმა 1965 წლის 1 მაისისთვის მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, თუ რა ზომები იქნა მიღებული ამ დადგენილების შესასრულებლად.

20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ სსრ კავშირის ფინანსთა საშინისტროსთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე ბ. კონიზიძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე მ. ხმირტიუაშვილი.

ასლი

დასტავიებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 6 ნოემბრის № 923
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარი (უფროსი) ბუღალტრების შესახებ

1. ზოგადი დებულებანი

1. საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მთავარი (უფროსი) ბუღალტერი უზრუნველყოფს აღრიცხვის სწორად დაყენებას და უტყუარობას, კონტროლს სოციალისტური საკუთრების მოვლა-პატრონობისადმი, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა სწორად ხარჯვისადმი, მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმისა და სამეურნეო ანგარიშის განხორციელებისადმი.

2. მთავარი ბუღალტრის თანამდებობა დაწესდება:

ა) სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო კომიტეტებში, სამინისტროებში, უწყებებში და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ბ) სახალხო მეურნეობის საბჭოებში;

გ) სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთავარ სამმართველოებში (სამმართველოებში), სახალხო მეურნეობის საბჭოების დარგობრივ სამმართველოებში, აგრეთვე ტრესტებში, ვაერთიანებებში, კომბინატებში და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების) საწარმოო სამმართველოებში;

დ) ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, უწყებებში და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სამმართველოებში (განყოფილებებში), გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც თანამდებობრივი განაკვეთების მოქმედი სქემებით ამ ორგანოებში შეიძლება დაწესდეს თანამდებობა უფროსი ბუღალტრისა და მთავარი ბუღალტრის უფლებებით;

ე) სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკურ, სამხარეო, სოაქო, საოკრუგო და რაიონულ ორგანიზაციებში;

ვ) ბანკის დაწესებულებებში, შემნახველ საღაროებსა და საფინანსო სისტემის ორგანოებში;

ზ) საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში;

თ) საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში (სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, საპროექტო და ა. შ.), რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ საბუღალტრო აღრიცხვას;

თუ მათში მოიპოვება სულ ცოტა 300 მუშა და მოსამსახურე;

თუ მათ დაქვემდებარებიან საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ საბუღალტრო აღრიცხვას და ადგენენ დამთავრებულ საბუღალტრო ანგარიშებს (რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი);

ი) იმ შენდებადი საწარმოების დირექციებში, რომელთა სატიტულო სიებს ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო;

კ) გზავნილების კონტროლის ბიუროში, კავშირგაბმულობის საქალაქო და რაიონულ კვანძებში.

3. სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი, ამ დებულების მე-2 პუნქტში აღნიშნულის გარდა, დაწესდება თანამდებობა უფროსი ბუღალტრისა (მთავარი ბუღალტრის უფლებებით).



4. სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა, ნიზაციების ცენტრალური ბუღალტერიები (საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოები), მთავარი (დარგობრივი) სამმართველოების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სამმართველოების (განყოფილებების), ტრესტების, გეერთიანებების, კომბინატების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების), საწარმოო სამმართველოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბუღალტერიები, როგორც წესი, არიან დამოუკიდებელი სტრუქტურული ნაწილები და არ უნდა შედიოდნენ აღნიშნული სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების რომელიმე სხვა ნაწილის (სამსახურის) შემადგენლობაში.

5. სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების და ორგანიზაციების მთავარ ბუღალტრებს დანიშნავენ და სამსახურიდან დაითხოვენ შესაბამისი სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, მინისტრები და უწყებების, ცენტრალური დაწესებულებების ან ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარ (უფროს) ბუღალტრებს დანიშნავენ და სამსახურიდან დაითხოვენ ის ორგანოები, რომლებიც ნიშნავენ ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელის წარდგენით და მთავარი ბუღალტრის თანხმობით.

სამომხმარებლო საზოგადოებათა, რაიონული, საოკროვო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირების მთავარი ბუღალტრების დანიშნას და დათხოვნას დაამტკიცებს შესაბამისი ზემდგომი სამომხმარებლო კავშირის გამგეობა.

6. მთავარი (უფროსი) ბუღალტრის დანიშვნისა და დათხოვნის დროს საქმეების მიღება-ჩაბარება გაფორმდება აქტით საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმების შემდეგ. ამ აქტის ასლი გაეგზავნება ზემდგომ ორგანიზაციას.

საჭირო შემთხვევებში საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიერ საქმეების მიღება და ჩაბარება წარმოებს ზემდგომი ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობით.

7. მთავარი (უფროსი) ბუღალტრის არყოფნის დროს (მივლინება, შვებულება, ავადმყოფობა) მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მთელი უფლება-მოვალეობანი ვადადის მოადგილეზე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — სხვა პირზე, რაც გამოცხადდება საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისადმი ვაცემული ბრძანებით.

8. მთავარი (უფროსი) ბუღალტრები უშუალოდ ემორჩილებიან საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ხოლო საბუღალ-



ტრო აღრიცხვის წარმოების და ანგარიშების შედგენის ორგანიზაციის წესი-სა და მეთოდების მხრივ — ზემდგომი ორგანიზაციის მთავარ ბუღალტრულ-სახალხო მეურნეობის საბჭოების, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთავარი ბუღალტრები უშუალოდ ემორჩილებიან სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, მინისტრებს და უწყებების ან სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

11. მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მოვალეობანი

9. მთავარი (უფროსი) ბუღალტერი მოვალეა უზრუნველყოს:

ა) საბუღალტრო აღრიცხვის სწორი და რაციონალური ორგანიზაცია მაქსიმალური ცენტრალიზაციის საფუძველზე, რაც შეესაბამება მეურნეობისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის მოთხოვნებს, და აღრიცხვის წარმოების დადგენილი წესების მტკიცედ დაცვა;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა გამოსათვლელი ტექნიკის ფართოდ გამოყენების საფუძველზე;

გ) მეურნეობის საშუალებათა (ფულადი სახსრების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ძირითადი ფონდებისა და სხვ.) სწორი და დროული აღრიცხვა, ამ საშუალებათა მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების სწორი დოკუმენტური გაფორმება და საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშებზე ასახვა;

დ) წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების, გასაღლის ხარჯთაღრიცხვების შესრულების, პროდუქციის გამოშვების, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა სამუშაოთა მოცულობის, პროდუქციის დამზადების, მომარაგებისა და გასაღების უტყუარი და დროული აღრიცხვა, პროდუქციის თვითღირებულების საანგარიშო კალკულაციების შედგენისა და დამზადებული ნედლეულის და მასალების ღირებულების გამოანგარიშების სისწორე.

ე) საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის (წარმოება, გასაღება, დამზადება, ვაჭრობა, მშენებლობა და ა. შ.) შედეგების დროული და ზუსტი აღრიცხვა;

ვ) მთელი საფინანსო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციების სწორი აღრიცხვა და განხორციელება, აგრეთვე ბანკებთან და სხვა ორგანოებთან მეურნეობის მთელი ანგარიშსწორების დროულად და სწორად შემოწმება;

ზ) სახელმწიფო ვადასახადების, მოგებათა ანარიცხებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში სხვა გადასახდელების, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური რემონტის დანახარჯების დასაფინანსებლად სამორტიზაციო ფონდის სახსრების სწორად და დროულად დარიცხვა და გადარიცხვა, ბანკის დაწესებულებათა კრედიტების დროულად დაფარვა;

თ) საკასო და საანგარიშსწორებო დისციპლინის მტკიცე დაცვა, ბანკის დაწესებულებებში მიღებული სახსრების სწორად ხარჯვა დანიშნულებისამებრ,



ჩეკების გამოწერისა და საჩეკო წიგნაკების შენახვის წესის დაცვა;

ი) მეურნეობის საშუალებათა ინვენტარიზაციისა და ანგარიშგების შედეგების დროულად და სწორად გამოვლინება და მათი ასახვა საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშგებზე;

კ) ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის, გაფლანგვის, დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედებათა გამო მასალების დროულად გაფორმება, აგრეთვე იმისადმი კონტროლი, რომ გადაეცეს ეს მასალები სათანადო შემთხვევებში სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს;

ლ) საბუღალტრო ანგარიშის შედგენა უტყუარი პირველადი დოკუმენტებისა და შესაბამისი საბუღალტრო ჩანაწერების საფუძველზე და მისი დროულად წარდგენა დადგენილ ვადებში შესაბამისი ორგანოებისათვის;

მ) საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიური ანალიზის განხორციელება (სხვა დარგებთან ერთად) საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების მიხედვით, შიგნით-მეურნეო რეზერვების გამოვლინების, დანაკარგებისა და არამწარმოებლური ხარჯების ლიკვიდაციის მიზნით.

ანალიზის შედეგებს მთავარი (უფროსი) ბუღალტერი მოახსენებს საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელს, რათა მიღებულ იქნას ზომები საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ნ) საჭირო დახმარების გაწევა მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირებისა, ეკონომიური ანალიზის საზოგადოებრივი ბიუროებისა და ჯგუფებისათვის ეკონომიური მუშაობის დროს სააღრიცხვო მონაცემების გამოყენების საკითხებზე;

ო) მონაწილეობა საწარმოში, ორგანიზაციაში და მეურნეობის ცალკეულ ნაწილებში (საამქროები, განყოფილებები, დამხმარე მეურნეობები და ა. შ.) სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა და განმტკიცების საქმეში;

პ) დოკუმენტური რევიზიების დროულად ჩატარება დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და მეურნეობის ცალკეულ ნაწილებში (საამქროები, განყოფილებები, დამხმარე მეურნეობები და ა. შ.) დამტკიცებული გეგმების შესაბამისად და შიგნითურა საფინანსო კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, აგრეთვე წინადადებების მომზადება რევიზიების შედეგად გამოვლინებული დარღვევების აღმოფხვრისათვის;

ჟ) საბუღალტრო აღრიცხვის მოწყობისა და წარმოების შესახებ მითითებათა დროზე შემუშავება ქვემდგომი ორგანიზაციებისათვის (რგოლებისათვის), მათი ინსტრუქტაჟი და საჭირო საინსტრუქციო მასალების მიწოდება საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე;

რ) შემოწმება ქვემდგომი ორგანიზაციების (რგოლების) მიერ წარდგენილი საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსებისა, პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის საანგარიშო მონაცემების, შემოსული მასალების საბუღალტრო დამუშავების ჩათვლით, შეჯამებული საბუღალტრო ანგარიშების



შედგენა და მისი წარდგენა შესაბამისი ორგანოებისათვის დაწესებული წესით;
 ს) საბუღალტრო არქივის შენახვა დადგენილი წესით და საბუღალტრო დოკუმენტების დაცვა-შენახვა.

10. მთავარი (უფროსი) ბუღალტერი მოვალეა კონტროლი გაუწიოს:

ა) ნედლეულის, მასალების, სათბობის, მზა ნაწარმის, საქონლისა და სხვა ფასეულობათა მიღებისა და ხარჯვის სწორად და დროულად გაფორმებას, იმას, რომ დროულად წარედგინოს პრეტენზიები მიმწოდებლებს დანაკლისისათვის, წუნისათვის, არაკომპლექსურობისათვის და სხვა;

ბ) ფულადი სახსრების, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობათა ძირითადი ფონდების, ანგარიშსწორებისა და ვალდებულებათა ინვენტარიზაციის დროულად ჩატარებას;

გ) დებიტორული დავალიანების დროულად გადახდევინებას და საკრედიტო დავალიანების დაფარვას;

დ) ხელფასის ფონდის სწორად ხარჯვას, ყველა სახის პრემიების, გასამარჯელოსა და დახმარების გამოანგარიშებასა და გაცემას, დაწესებული შტატების, თანამდებობრივი განაკვეთების, აღმინისტრაციულ-სამეურნეო და სხვა გასავლის ხარჯთაღრიცხვების დაცვას, აგრეთვე საგადასახდელი და საფინანსო დისციპლინის დაცვას;

ე) იმას, თუ რამდენად დასაბუთებული და კანონიერია დანაკლისის, დანაკარგის, დებიტორული დავალიანებისა და სხვა სახსრების ჩამოწერა საბუღალტრო ბალანსიდან;

ვ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასების სწორად, დროულად ჩატარებასა და დადგენილი წესით გაფორმებას.

11. მთავარი (უფროსი) ბუღალტერი მოვალეა უზრუნველყოს აღრიცხვისა და კონტროლის ისეთი ორგანიზაცია, რაც თავიდან აგვაცილებდა ფულადი სახსრების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის, გაფლანგვისა და უკანონოდ ხარჯვის შესაძლებლობას და სხვა დარღვევებსა და ბოროტმოქმედებას.

12. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილ იქნა თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედება (წამატება, თვალისახვევა და სხვა დარღვევები და ბოროტმოქმედება) მთავარი (უფროსი) ბუღალტერი იმას მოახსენებს საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ხელმძღვანელს ზომების მისაღებად და საჭირო შემთხვევებში ზემდგომ ორგანიზაციასა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს.

13. თუ საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების შემადგენლობაში არის დამოუკიდებელი საფინანსო დარგი, მთავარ (უფროს) ბუღალტერს ეკისრება საფინანსო ოპერაციების აღრიცხვის და მათი კანონიერებისა, დროულად და სწორად გაფორმებისადმი კონტროლის მოვალეობანი.

14. მთავარ (უფროს) ბუღალტერს არ შეიძლება დაეკისროს ისეთი მოვალეობანი, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ მატერიალურ პასუხისმგებლობასთან ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობებისათვის.



მთავარ (უფროს) ბუღალტერს ეკრძალება ფულადი სახსრების მუშაობა მიღება ჩეკებით და სხვა დოკუმენტებით ბანკის სალაროებიდან და სალაროებიდან, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობათა მიღება საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

III. მთავარი (უფროსი) ბუღალტრის უფლებები

15. საწარმოში, ორგანიზაციისა და დაწესებულებაში საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე დასაქმებული ყველა მუშაკი ემორჩილება ამ საკითხებში მთავარ (უფროს) ბუღალტერს.

16. მთავარი (უფროსი) ბუღალტერი დააწესებს სამსახურებრივ მოვალეობას ბუღალტერიისა და სამანქანო-საანგარიშო დანადგარის (სადგურის, ბიუროს) აპარატის მუშაებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე, ისე რომ თვითუღმა მუშაყმა იცოდეს თავისი მოვალეობანი და კისრულობდეს პასუხისმგებლობას მათი შესრულებისათვის.

17. ზემდგომი ორგანიზაციის მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მითითებანი და განკარგულებანი საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კონტროლის საკითხებზე სავალდებულოა ყველა დაქვემდებარებული საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, აგრეთვე მეურნეობის ცალკეული ნაწილებისათვის (სააშქრო, განყოფილება, დამხმარე მეურნეობა და ა. შ.).

მთავარი (უფროსი) ბუღალტრის განკარგულებანი ოპერაციების გაფორმებისა და ბუღალტერიისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების წარდგენის წესის შესახებ სავალდებულოა მოცემული საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ყველა მუშაისათვის.

საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ყველა განყოფილება და სხვა ნაწილები მოვალენი არიან დროზე გადასცენ მთავარ (უფროს) ბუღალტერს საბუღალტრო აღრიცხვისა და კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები, ბრძანებები, დადგენილებები, განკარგულებები, აგრეთვე ყოველგვარი ხელშეკრულებები, ხარჯთაღრიცხვები, ნორმატივები და სხვა მასალები.

დოკუმენტების უხარისხოდ გაფორმებისა და შედგენისათვის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ანგარიშებზე ასასახავად მათი დაგვიანებით გადაცემისათვის, აგრეთვე იმ მონაცემების არასისწორისათვის, რომლებსაც დოკუმენტები შეიცავენ, პასუხისმგებლობა ეკისრებათ თანამდებობის პირებს, რომლებმაც ეს დოკუმენტები შეადგინეს და ხელი მოაწერეს მათ.

მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მითითებითა და განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის ან დარღვევისათვის დამნაშავე პირებს ჩამოერთმევათ საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ხელმძღვანელის შეხედულებით პრემიები სრულად ან ნაწილობრივ, ხოლო საჭირო შემთხვევებში ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში კანონით დადგენილი წესით.

18. საწარმოში, ორგანიზაციისა და დაწესებულებაში მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა (მოლარეები, საწყობის გამგეები და სხვ.) დათხოვნა და



ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა წარმოებს მთავარ (უფროს) კონსულტანტებთან შეთანხმებით.

19. საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე სტატისტიკურ ანგარიშებს საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების მუშაობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა გეგმის შესრულების შესახებ ხელს აწერენ ხელმძღვანელი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

20. დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენენ ფულის, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობათა მიღებისა და გაცემის საფუძველს აგრეთვე რომლებიც ცვლიან საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების საკრედიტო და საანგარიშსწორებო ვალდებულებებს, ხელს აწერენ საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ხელმძღვანელი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ან მათ მიერ სამისოდ რწმუნებული პირები.

ზემოჩამოთვლილი დოკუმენტები, რომლებსაც არ ექნება მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ან სამისოდ რწმუნებული პირის ხელმოწერა, ძალადაკარგულად ითვლება და ისინი არ უნდა მიიღონ შესასრულებლად მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა, მოცემული საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების საბუღალტრო აღრიცხვის ორგანოებმა, აგრეთვე ბანკის დაწესებულებებმა.

თანამდებობის პირთა რწმუნება აღნიშნული დოკუმენტების ხელმოწერაზე უნდა გაფორმდეს საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისადმი გაცემული ბრძანებით.

ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებსაც საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება დადებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიღების ან გაცემის და შესრულებულ სამუშაოთა (მომსახურების) შესახებ, აგრეთვე ბრძანებანი მუშაკებისათვის თანამდებობრივი და პერსონალური განაკვეთების დაწესების და დაჯილდოების შესახებ წინასწარ უნდა იქნას ვიზირებული მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიერ.

თუ დოკუმენტები, ხელშეკრულებები, შეთანხმებანი, ბრძანებები ან განკარგულებანი არ შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას, ზემდგომი ორგანიზაციების ბრძანებებსა და მითითებებს, აგრეთვე თუ დარღვეულია სახელმწიფო ფასები, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ასეთ დოკუმენტებს ხელს არ მოაწერს და ვიზას არ მისცემს.

21. მთავარი (უფროსი) ბუღალტერი შესასრულებლად და გასაფორმებლად არ მიიღებს ისეთი ოპერაციების დოკუმენტებს, რომლებიც არღვევენ მოქმედ კანონმდებლობას და ფულადი სახსრების, მოწყობილობის, ინვენტარის, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობათა მიღების, შემოსავალში გატარების, შენახვისა და ხარჯვის დადგენილ წესს.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია ისეთი განკარგულება, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას ან საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების დადგენილ წესს, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი მო-



ვალეა, ვიდრე მას შეასრულებდეს. წერილობით მიაქციოს ხელმძღვანელი უსრადლება იმას, რომ მის მიერ გაცემული განკარგულება უკანონოა. თუ ხელმძღვანელისაგან მიღებულია მის მიერ გაცემული განკარგულების წერილობითი დადასტურება, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი შეასრულებს მას და დაუყოვნებლივ აცნობებს ამას ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შესაბამის ორგანოს.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მთავარი (უფროსი) ბუღალტერი მიიღებს განკარგულებას შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება იგი მოვალეა არ შეასრულოს ეს განკარგულება და დაუყოვნებლივ აცნობოს ეს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის შესაბამის ორგანოს, ხოლო საჭირო შემთხვევებში — საფინანსო ორგანოებს.

ზემდგომი ორგანიზაცია, რომელმაც მიიღო მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ცნობა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, მოვალეა ერთი კვირის განმავლობაში განიხილოს იგი და მიიღოს საჭირო ზომები, რაც შეატყობინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ პირს და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის სათანადო ორგანოს.

მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, რომელმაც აღნიშნულ ორგანოებს არ აცნობა ხელმძღვანელის უკანონო განკარგულებანი, პასუხისმგებელია მათი შესრულებისათვის იმ ხელმძღვანელთან თანაბრად, რომელმაც უკანონო განკარგულება გასცა.

ზემდგომი ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და მთავარ ბუღალტრებს რომლებმაც მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარი (უფროსი) ბუღალტრებისაგან მიიღეს ცნობები უკანონო განკარგულებებისა და სხვა უკანონო მოქმედების შესახებ და არ მიიღეს სათანადო ზომები, ეკისრებათ პასუხისმგებლობა საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების იმ ხელმძღვანელის თანაბრად, რომელმაც უკანონო განკარგულება გასცა.

22. საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების მთავარ (უფროს) ბუღალტერსა და ხელმძღვანელს შორის წამოჭრილ უთანხმოებას გადაწყვეტს ზემდგომი ორგანიზაცია.

23. საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების მთავარ (უფროს) ბუღალტერს პრემიებს მისცემს დადგენილი წესით ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.



24. თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის მთავარ (უფროს) ბუღალტერს ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



14

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ოქროს
სამკერდე მედლის აღწერილობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 მარტის № 113 დადგენილების დამატებით, დამტკიცდეს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ესკიზი და აღწერილობა შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ოქროს სამკერდე მედლისა, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაშახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 19 იანვარი, № 35.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 19 იანვრის № 35
დადგენილების დანართი

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ა

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ოქროს
სამკერდე მედლისა

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ოქროს სამკერდე მედალს აქვს სწორი წრის ფორმა მთლიან დაშტამპული ყუნწით. მედლის დიამეტრია 25 მმ. მედლის პირველ მხარეზე არის შოთა რუსთაველის პროფილური ბარელიეფური გამოსახულება.

მედლის მეორე მხარეზე გაკეთებულია წარწერა ქართულ ენაზე: „რუსთაველის პრემიის ლაურეატი“.

წარწერა გაკეთებულია ამოხნეკილი ასოებით.

მედალი „შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი“ ტანისამოსის შემაგრება ხუნდის მეშვეობით ხუნდი წარმოადგენს 25 მმ სიგანის და 8 მმ სიმაღლის სწორკუთხედს ორი განაკვეთით, რომელზეც გადაკიმულია ცისფერი მუარისებრი ლენტის. ლენტის სიგანეა 6 მმ. ხუნდის მეორე მხარეზე გაკეთებულია ქინძისთავი. შემაერთებელი რგოლების მეშვეობით მედალი მი-



მაგრებულია ხუნდზე. მედლის ფუძე ყუნწიანად და შემაერთებულად დასაწყობდა. მისი
ბით გაკეთებულია ოქროსაგან, ხუნდი — ოქროთი დაფერილი ვერცხლისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

15 თუთის აგროჟუმი პარკის დამზადებისა და პირველადი გადამზადების საწარმოო გაჯების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს 1965 წლის პირველ იანვრიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეაბრეშუმეობის კანტორები № 1 დანართის თანახმად და მათი ფუნქციები და მომსახურების ზონები გადაეცეს მთავარ პარკსაშრობებს № 2 დანართის თანახმად.

მთავარი პარკსაშრობები დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს.

მთავარ პარკსაშრობებს დაეკისროთ მათ მომსახურების ზონებში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეაბრეშუმეობა-მეტუთეობის განვითარების, აგრეთვე პარკსაშრობების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი. მიენიჭოთ მთავარ პარკსაშრობებს საწარმოს სამეურნეო ანგარიშისა და უფლებები.

2. გადაეცეს მთავარ პარკსაშრობებს მეაბრეშუმეობის კანტორების აპარატიდან გათავისუფლებული 122 ერთეული, 8323 მან. და 50 კაბ. თვიური ხელფასის ფონდით.

3. გადაყვანილ იქნას 1965 წლის პირველ იანვრიდან პარკსაშრობების მუშაკები შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს 1965 წლის დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ უზრუნველყოს პარკსაშრობების შტატების დამტკიცება და მათი ხელფასის მოწესრიგება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 21 იანვლის № 37
დადგენილების დანართი № 1

ს ი ბ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამ-
ზადების სამინისტროს მებარეშუმეობის სამმართველოს რაიონული
კანტორებისა, რომლებიც უქმდებიან:

1. თელავის	კანტორა	21. გლეჯკორის	კანტორა
2. აბშეთის	"	22. აბაშის	"
3. ჟეარლის	"	23. ცხაქიის	"
4. ლაგოდეხის	"	24. ჩხოროწყვის	"
5. სოღნოს რაიონული კანტორა		25. ზუგდიდის	"
6. გურჯაანის	კანტორა	26. წაღვანის	"
7. საგარეჯოს	"	27. ხობის	"
8. გორის	"	28. ამბროლაურის რაიონული კანტორა	
9. ვანის	"	29. მახარაძის	კანტორა
10. ბოლნისის რაიონული კანტორა		30. ჩოხატაურის	"
11. ზესტაფონის	კანტორა	31. ლანჩხეთის რაიონული კანტორა	
12. თურქოლის	"	32. ცაგერის	"
13. ორჯონიკიძის	"	33. აჭარის	კანტორა
14. სამტრედიის	"	34. გალის რაიონული კანტორა	
15. წულციის	"	35. გურჯოფის	კანტორა
16. მაიაკოვსკის	"	36. ომაშვილის	"
17. ვანის	"	37. გუდაუთის	"
18. წყალტუბოს	"	38. ვაგონის	"
19. ტყიბულის	"	39. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური კანტორა	
20. საჩხერის რაიონული კანტორა			

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. შირაძეძე.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 21 იანვრის № 2
დადგენილების დანართი № 2

ს ი ბ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამ-
ზადების სამინისტროს მებაღეშემეობის სამმართველოს მთავარი პარკსაშრო-
ბებისა და მათ მომსახურებაში შემავალ პარკსაშრობების

მთავარი პარკსაშრობები	მთავარი პარკსაშრობების მომსახურებაში შემავალი პარკსაშრობები
1. თუღვის	თუღვის
2. აბჭეტის	ზოდაშნის
3. ყვარლის	ენისკლის, ახალსოფლის
4. ლავოდების	ბაისუბნის, აფუხის, ვარდისტბნის
5. სიღნაღის	საბათლოს
6. გურჯაანის	ბაქურციბნის, შაშინის
7. საგარეჯოს	—
8. გორის	ქარელის, ზაშურის
9. ვახტანგის	მუხრანის
10. შარნუელის	ქაჩავანის, ბოლნისის
11. ზესტაფონის	სეირის
12. თურჯოლის	სიმონეთის, მზარის
13. ორჯონიკიძის	ღანისის, სავაგბოს, ვიხაშის, ბაშის, კომის
14. სამტრედიის	მათხოვის, გორდის, გუბის, ქუტორის
15. წულუკიძის	წითელბუციის
16. მთავრის	სულორის, შუშათის, ამაღლების, ზეინდარის,
17. ვანის	უფშურის
18. წვადტბის	ოფშეთის, ქუთაისის, მუხიანის
19. ტყეშელის	—
20. საჩხერის	ჭიათურის
21. გუგუტიის	კიწის, დიდუკონის, ბანძის, ეტრზის
22. აბაშის	ოხტოფის, ძოანის
23. ცხაკაის	ნოქალაქევის, ზახის, ფოცქოს, ძე, სენაკის
24. ჩხოროწყუს	იოცხის, ლესიქინეს (ახეთი), ხანუშის,
25. ზუგდიდის	ხაფიზოვის, მუხერის
26. წალენჯიხის	დაბაქლოს, კოსის, ორჯონიკიძის, ჩხარის
27. ხობის	ლიის, ფახელანის
28. ამბროლაურის	ახალი ხიბულის, ბეთის, ფოთის
29. მახარაძის	ქრეხალის
30. ზობაქაურის	ბაზვის, შერის, ნავაშის, ყუმათის, შროშის
31. ლანჩხუთის	საქაბაქურის, კონარის, ხიდისთავის, დიდი-
32. ცაგერის	ვანის
33. აჭარის ასსრ ბათუმის პარკსაშრობა	ნიგუზიანის, სუფსის, აყანის, თეჯეთის
34. ვალის მთავარი პარკსაშრობა	ალბანის
35. გურჯაანის	ქობულეთის
36. თბილისის	აჩიგვარის, ოკობაიას, ოქუშის, საბერძონ
37. გუდაუთის	შაქარის, ახანდარის, ბუკლეთის
38. გურჯაანის	ტაშიშის, აგუბუდის
39. სამხრეთ ოსეთის ა/ო ცხინვალის მთავარი პარკსაშრობა	მუგუქაბუჯის
	ვანთიადის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. პირაპაძე.



16 საბჭოთა მუშაობა და სხვა სახელმწიფო მუშაობა
 მუშაობა საწარმოებსა და ორგანიზაციებში
 თვითღირებულების დაგეგმვის წესის ნაწილობრივ შეცვლისა და
 მათი სამუშაო-საფინანსო საქმიანობის შედეგების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის წესის ნაწილობრივ შეცვლისა და მათი სამუშაო-საფინანსო საქმიანობის შედეგების განსაზღვრის შესახებ“ დაეგზავნოს ცნობად და სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, „საქფრინველმრეწვის“ სამმართველოს, ყველა სამინისტროს, ორგანიზაციებს, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და სასწავლებლებს, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოები აქვთ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორას, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, „საქფრინველმრეწვის“ სამმართველოს, სამინისტროებსა და უწყებებს აწარმოონ საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1965 წლისათვის გადმოსული საკუთარი წარმოების თესლისა და საკვების, აგრეთვე პირუტყვის მოზარდულის შეფასება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილებით, და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს (ასლი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს) შესაბამისი განგარნიშებანი, რათა დაეგზავნოს ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯაჰანიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საკმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დ ე ლ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1

1965 წლის 4 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის წესის ნაწილობრივ შეცვლისა და მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების განსაზღვრის შესახებ

საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის მოქმედი წესის შემდგომი სრულყოფისა და მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების განსაზღვრის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1965 წლის 1 იანვრიდან დაწყებული:

ა) საკუთარი წარმოების თესლისა და საკვების, აგრეთვე საკუთარი წარმოების იმ თესლის შემდეგი წლისათვის გარდამავალი მარაგის შეფასება, რაც დახარჯულია საანგარიშო წელს საშემოდგომო კულტურების დასათესად, — ხორციელდება ამ სახის პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს მათზე დაწესებული ჩასაბარებელი ფასებისა. ამასთან ხარისხოვანი თესლის შეფასება ხდება ფაქტიური თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს იმ ფასებისა, რაც დაწესებულია შესაბამისი კულტურების ხარისხოვან თესლზე, ხოლო საკვების ცალკეულ სახეობათა შეფასება, რომლებზედაც არ არის დაწესებული ჩასაბარებელი ფასები, მოხდეს ფაქტიური თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს საკვების იმ სახეობათა ფასებისა, რომლებიც განისაზღვრება შერიის თესლის ჩასაბარებელი ფასების შესაბამისად იმის მიხედვით, თუ რამდენ საკვებ ერთეულს შეიცავენ ისინი. თანხა თესლის და საკვების ფაქტიური თვითღირებულების გადამეტებისა მათს ღირებულებაზე, რაც განისაზღვრება აღნიშნულ ფასებში, მიეკუთვნოს შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების საანგარიშო წლის საქმიანობის შედეგებს;

ბ) შეფასება პირუტყვის მოზარდულისა, რომელიც შემდეგი წლისათვის გადადის შემდგომ გამოსაზრდელად და გამოსაკვებად, ხორციელდება მისი ფაქტიური თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს პირუტყვის ჩასაბარებელი ფასებისა. ამასთან ჯიშინი პირუტყვის მოზარდულის შეფასება მოხდება ფაქტიური თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს იმ ფასებისა, რაც დაწესებულია ჯიშინ პირუტყვზე. თანხა პირუტყვის იმ მოზარდულის ფაქტიური თვითღირებულების გადაშეტებისა, რომელიც შემდეგი წლისათვის გადადის



შემდგომ გამოსაზრდელად და გასასუქებლად, მის ღირებულებებზე დაყრდნობით მხარდობა უნდა იქონიოს. — მიეკუთვნოს შესაბამისი საწარმოო-საფარმოო ორგანიზაციების საანგარიშო წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს;

გ) იმ პირუტყვისა და ფრინვლის მოზარდულის შეფასება, რომლებიც გადაყვანილია საანგარიშო წელს ძირითად ჯოგში, ზორციელდება პირუტყვისა და ფრინვლის ჩასაბარებელი ფასების მიხედვით, ამასთანავე ჯიშის პირუტყვისა და ჯიშის ფრინვლის მოზარდულის შეფასება მოხდება იმ ფასებში, რაც დაწესებულია ჯიშის პირუტყვისა და ჯიშის ფრინველზე. საანგარიშო წელს ძირითად ჯოგში გადაყვანილი პირუტყვისა და ფრინვლის ფაქტობრივი თვითღირებულებასა და მათს იმ ღირებულებას შორის არსებული განსხვავების თანხა, რაც აღნიშნულ ფასებში განისაზღვრება, მიეკუთვნოს შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების საანგარიშო წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

2. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1965 წლისათვის გადამოსული საკუთარი წარმოების თესლისა და საკვების, აგრეთვე პირუტყვის მოზარდულის შეფასება მოხდება ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით ისე, რომ შეფასების შედეგები არ მიეკუთვნოს შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების 1964 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან 1964 წლის საანგარიშო მონაცემები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისაგან, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისაგან საკუთარი წარმოების თესლისა და საკვების, აგრეთვე პირუტყვის მოზარდულის აღნიშნული შეფასების გაანგარიშებანი, შეიტანონ საჭირო ცვლილებანი სახალხო-სამეურნეო გეგმის დამტკიცებულ მიწვევებებში, სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა შემოსავალ-გასავლის ბალანსებში და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის 1965 წლის ურთიერთანგარიშსწორებაში.

3. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, რ თვის ვადაში გააუმჯობესონ მეთოდთა დანახარჯების განაწილებისა ძირითად, შეუღლებულ და დამხარე პროდუქტებზე შემცენარეობასა და მეცხოველეობაში.

4. საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმო-საფინანსო გეგმების შედგენა მოხდება დაგეგმილი წლის დაწყებამდე. ამ გეგმების შემუშავებისას პროდუქციის გარდამავალი მარაგი და დაუმთავრებელი წარმოება, აგრეთვე პირუტყვის მოზარდული, რომელიც შემდეგი წლისათვის გადადის შემდგომ გამოსაზრდელად და გასასუქებლად, შეფასდეს მათი მოსალოდნელი თვითღირებულების მიხედვით, შემდგომი დაზუსტებით საანგარიშო წლის შედეგების კვალობაზე.



ამასთან საკუთარი წარმოების თესლისა და საკვების გარდამავალი მარტინისა და კუთარი წარმოების თესლი, რაც საანგარიშო წელს დაიხარჯა სსრკ-ში, კულტურების დასათესად, და პირუტყვის მოზარდული, რომელიც შემდეგი წლისათვის გადადის შემდგომ გამოსაზრდელად და გასასუქებლად, — შეფასდეს მათი მოსალოდნელი თვითღირებულების მიხედვით, ამ დადგენილების 1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

5. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხელფასის დროულად მიცემა საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სასწავლებლების საცდელი, საცდელ-საწარმოო და სასწავლო-საცდელი მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისათვის, ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიონ აღნიშნულ მეურნეობებს კრედიტი ხელფასის გასაცემად, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მდგომარეობაშია ანგარიშსწორება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხთა გამო, 30 დღემდე ვადით იმ ვარაუდით, რომ დაიფაროს მიცემული კრედიტი პირველ რიგში ამ მეურნეობათა საანგარიშსწორებო ანგარიშებიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

17 საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების ორგანიზაციის შესახებ

„საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 ივნისის № 486 დადგენილების შესასრულებლად და იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადება სოფლის მეურნეობისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს 1965 წლის იანვრიდან დიდი, წარმოების დონის მხრივ მოწინავე საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე შემდეგი საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმები:

ლაიფურის — ლაიფურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მახარაძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან გაერთიანების გზით;

ზედა ეწერის — ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან გაერთიანების გზით;

აჩიგვარის — აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აჩიგვარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან გაერთიანების გზით, რომელთა მოწყობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 ივნისის № 486 დადგენილების შესაბამისად, შეთანხმებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.



2. უახლოესი 3-5 წლის განმავლობაში გადაყვანილ იქნას საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების ბაზად შემდეგი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები:

ცხინვალის — ერედვის მერძეეობა-მეხოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში;

გორის — კარალეთის მეხილეობა-მეხოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ განახორციელოს ორივე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გადაყვანა, ტექნიკუმების სასწავლო და საცხოვრებელი სადგომების ახალ ადგილებზე საექსპლუატაციოდ გადაცემის მიხედვით.

3. წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმში გადაყვანილ იქნას 1965 წელს სოფელ კუხში, სადაც მთავრდება ტექნიკუმისათვის საჭირო შენობათა და ნაკვეთობათა კომპლექსის მშენებლობა, და ეწოდოს მას კუხის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი.

4. განხორციელდეს 1966-1969 წლებში სასწავლო კორპუსებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობა ახლად მოწყობილი აჩიგვარის, ერედვის, ზედა ეწერისა და კარალეთის ტექნიკუმებისათვის.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო სავეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ ვაითვალისწინონ ყოველწლიურად სახალხო მეურნეობის 1966-1969 წლების გეგმებით კაპიტალური დაბანდებათა საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სასწავლო-საწარმოო და საცხოვრებელი შენობების კომპლექსის მშენებლობისათვის.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ:

ა) შეიმუშაოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორთის ვადაში წარუდგინოს დასამტკიცებლად საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების სასწავლო გეგმები და პროგრამები;

ბ) უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის ისეთი დამატებითი დარგების განვითარება ახლადმოწყობილ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებში, რომლებიც შეესაბამებიან მათში მომზადების პროფილებს.

7. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 ივნისის № 486 დადგენილებით:

ა) დაწესებულია, რომ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობას განახორციელებს ერთმმართველობის საფუძველზე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი, რომელიც დაინიშნება უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ვანათლების და საწარმოო და სასწავლო მუშაობის გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთაგან.



საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებში შემოღებულია თანამდებობების კოთა. მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეებისა სასწავლო ნაწილში და საწარმოო მუშაობის ხაზით.

საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების დირექტორების თანამდებობრივი განაკვეთები (საანგარიშსწორებო სარგო) დაწესებულია იმ თანამდებობრივ განაკვეთებზე (საანგარიშსწორებო სარგოზე) 20 პროცენტით მეტი, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისათვის, და საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეების თანამდებობრივი განაკვეთები (საანგარიშსწორებო სარგო) — იმ თანამდებობრივი განაკვეთების (საანგარიშსწორებო სარგოს) 10—20 პროცენტით ნაკლები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისათვის;

ბ) განმარტებულია, რომ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებში სპეციალური საგნების მასწავლებლებად შეიძლება მოწვეულ იქნან საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების სპეციალისტები საათობრივი ანაზღაურებით იმ ოდენობით, რაც დაწესებულია საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლებისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო საერთო-ტექნიკური და ზოგიერთი სპეციალური საგნის სწავლებას განახორციელებენ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების შტატის მასწავლებლები.

საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებში შტატის მასწავლებლებისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება წარმოებს იმ წესითა და ოდენობით, რაც დადგენილია საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად.

საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების სპეციალისტთა, მუშათა, მოსამსახურეთა და უმცროსი მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურება წარმოებს იმ წესითა და ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის;

გ) დადგენილია, რომ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების საწარმოო საქმიანობა ხორციელდება სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალისტთა მომზადებასთან, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების გეგმური კაპიტალური დაბანდბანი დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმების დანარჩენი ხარჯები გაიწევა მათი საკუთარი სახსრების ხარჯზე;

დ) დაწესებულია, რომ საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება რჩება მის განკარგულებაში და გამოიყენება: 40 პროცენტი — მეურნეობის განვითარებისათვის, 50-60 პროცენტი — სას-



წველო-აღმზრდელი მუშაობისა და ლაბორატორია-კაბინეტური მუშაობისათვის, 10 პროცენტამდე — საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკის მუშაკთა დასაჯილდოებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძემი**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 23 იანვარი, № 45.



3 0 3 0 3

საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკების მშენებლობის

საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკების დასახელება	მშენებლობის ობიექტები						სამართლებრივები დაიხმებულა		მშენებლობის ღირებულება	მშენებლობის დასრულება
	სამშენებლო კომპლექსი	სამშენებლო ობიექტების რაოდენობა	საერთო საშენობლო ფართობი	სამშენებლო ობიექტების რაოდენობა	მომწოდების საშენობლო ფართობი	სამშენებლო ობიექტების რაოდენობა	მ. კ. მ.	მთლიანი მ. კ. მ.		
მთლიანად	1	220	2	200	2	16	450	200	1967	1967
გრაფიკით	1	220	2	200	2	16	450	200	1966	1968
გრაფიკით	1	450	2	300	2	16	500	225	1967	1968
ზღირაშვილის	1	200	—	—	—	—	200	—	1967	1968

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. შიბაძემ.



18 ქალ. რუსთაველი, ქუთაისში, წყალტუბოსა და ბორჯომში პირუტყვის შენახვის აკრძალვის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 დეკემბრის დადგენილება № 843 „ქ. რუსთაველი მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 5 ივლისის საოქმო გადაწყვეტილება № 28/VI ქალ. ქუთაისში, წყალტუბოსა და ბორჯომში პირუტყვის შენახვის აკრძალვის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ძალაში დატოვების შესახებ.

გაუქმდეს აგრეთვე: ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1961 წლის 20 აპრილის № 11, წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1961 წლის 14 სექტემბრის № 127 და ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1960 წლის 13 აგვისტოს № 31 გადაწყვეტილებანი ამ ქალაქებში პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 23 იანვარი, № 47.

19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გეგმითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის დახურვის დახმარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 29 იანვარი, № 56.



დაბეჭდილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით
 1965 წლის 29 იანვრის № 56
 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში;

ბ) ყველა სახის გამოშვებული ლიტერატურის შინაარსისა და მიმართულებისადმი კონტროლი საერთო-რესპუბლიკური მასშტაბით, იმისადმი კონტროლი, რომ შესრულდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიის, წიგნით ვაჭრობის, ბეჭდვით სიტყვაში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის დარგში;

გ) ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

დ) 1)

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) მოაწუბს და წარმართავს საგამომცემლო საქმეს რესპუბლიკაში; უზრუნველყოფს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მაღალ იდეურ-თეორიულ დონეს, გამოცემათა მხატვრული გაფორმების, პოლიგრაფიული შესრულების მაღალ ხარისხს და მათს დროულად გამოშვებას; აღმოფხვრავს გამოცემათა პარალელიზმს და დუბლირებას, არ დაუშვებს ნაკლებშინაარსიანი წიგნების გამოშვებას; უზრუნველყოფს სარედაქციო-საგამომცემლო პროცესის სრულყოფას; დადგენილი წესით უზღვევს საოლქო გაზეთებისა და ჟურნალების გამომცემლობებს, დაეგმავს, დაფინანსებს საოლქო გაზეთებისა და ჟურნალების, აგრეთვე საქალაქო და სარაიონთაშორისო გაზეთების რედაქციებს; დადგენილი წესით შეიტანს წინადადებებს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა გამომცემლობების, სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებების შექმნის, გარდაქმნისა და გაუქმების შესახებ, რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის (გარდა სამეცნიერო-ტექნიკური ინ-

1) არ არის მოყვანილი



ფორმაციის ორგანოებისა) საგამომცემლო უფლებების მინიჭების მოწყობის მიზნით მოაწყო კონკურსებს ბეჭდვითი სიტყვის საუკეთესო ნაწარმოებების, მათ შორის რულ გაფორმებასა და პოლიგრაფიულ შესრულებაზე, გასცემს პრემიებს და დგენილი წესით; მოაწყო საქართველოს სს რესპუბლიკაში ქართული საბჭოთა ლიტერატურის გამოფენებს; ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას საგამომცემლო საქმეში; გამოსცემს ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს „პოლიგრაფისტს“ საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილების, პოლიგრაფიის საწარმოებში ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საკითხებზე;

ბ) შეიმუშავეს და განახორციელეს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე, საწარმოო სიმძლავრეთა გადიდება, პოლიგრაფიული საწარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელება; ხელმძღვანელობას გაუწევს ქართული პოლიგრაფიული შრიფტების შექმნისა და გაუმჯობესების საქმეს;

გ) განახორციელებს საერთო-რესპუბლიკური მასშტაბით წიგნის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციას დამოუკიდებლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა; უზრუნველყოფს წიგნთა ტირაჟების სწორად განსაზღვრას; მოაწყო ცენტრალური, რესპუბლიკური და საოლქო გამოცემების გავრცელებას საქართველოს სს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ; შეიმუშავეს და განახორციელებს წიგნით ვაჭრობის ახალი პროგრესული ფორმების განვითარების ღონისძიებებს და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას წიგნის გავრცელებაში; მოაწყო წიგნის ლატარიებს რესპუბლიკაში, რისთვისაც შეიმუშავეს და დაქვემდებარების მიხედვით წარადგენს შესათანახებლად წიგნის ლატარიის ჩატარების პირობებსა და წესს; დადგენილი წესით გამართავს წიგნის ბაზრობებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე; მოაწყო ნაბეჭდი პროდუქციის პროპაგანდასა და რეკლამირებას, აგრეთვე ინფორმაციის მიწოდებას მის შესახებ;

დ) მოამზადებს რესპუბლიკაში წიგნების გამოშვების გეგმებს და შეათანხმებს ყველა იმ გამომცემლობისა და სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების ლიტერატურის გამოშვების გეგმებს, რომლებიც იმყოფებიან სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების გამგებლობაში; დაამტკიცებს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წარდგენით, გეგმებს ლიტერატურის გამოშვებისა სახალხო მეურნეობისა და კულტურის შესაბამისი დარგების საკითხებზე, გარდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გამოცემის გეგმებისა; დაამტკიცებს იმ გამომცემლობების მიერ ლიტერატურის გამოშვების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან კომიტეტს, ხოლო ორმაგი დაქვემდებარების გამომცემლობების მიერ ლიტერატურის გამოშვების ასეთ გეგმებს, — შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად; შეიმუშავეს დაინტერესებული სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების წინადადებათა გათვალისწინებით პოლიგრაფიული მრეწვე-



ლობისა და წიგნით ვაჭრობის განვითარების გეგმების პროექტებს და დაქვემდებარებული წესით წარადგენს მათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმის პროექტში შესატანად; დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომცემლობების სამუშაოთა და წიგნით ვაჭრობის მოცულობას; მოამზადებს და დაქვემდებარების მიხედვით წარადგენს ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების პროექტებს კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით;

ე) შეიმუშავეს წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების პროექტებს, შრომის გეგმების პროექტებს, კომიტეტის შემოსავალ-გასავლის ბალანსებს, დადგენილი წესით წარადგენს აღნიშნულ პროექტებს დასამტკიცებლად და განახორციელებს ღონისძიებებს დამტკიცებული გეგმების შესრულებისათვის;

ვ) განსაზღვრავს მოთხოვნილებას უშაღესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა კადრებზე საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის დარგში და მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილებაში; განახორციელებს ღონისძიებებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი გადამზადებისათვის;

ზ) გამოავლენს გამომცემლობათა მოთხოვნილებას პოლიგრაფიულ ბაზაზე და განაწილებს კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული პოლიგრაფიული საწარმოების საწარმოო სიმძლავრეებს; შეათანხმებს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების პოლიგრაფიული ბაზის დატვირთვას, გარდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების პოლიგრაფიული ბაზისა; დადგენილი წესით განაწილებს საბეჭდ ქაღალდს, პოლიგრაფიულ მოწყობილობას (მათ შორის საიმპორტო მოწყობილობას) და პოლიგრაფიულ მასალებს საქართველოს სსრ სამინისტროებსა, სახელმწიფო კომიტეტებსა, უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის;

თ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს წინადადებებს იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სიის შესახებ, რომლებსაც უფლება აქვთ უფასოდ მიიღონ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა საკონტროლო ეგზემპლარები, განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ პოლიგრაფიულმა საწარმოებმა, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, დაიცვან ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა საკონტროლო (ფასიანი და უფასო) ეგზემპლარების შიტიანის წესი;

ი) განიხილავს და დაქვემდებარების მიხედვით წარადგენს ყველა სახის ბეჭდვითი პროდუქციის ტექნიკური პირობების, ტიპობრივი ფასდებისა და ნორმატივების პროექტებს; შეიმუშავეს და დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად საავტორო ჰონორარის განაკვეთებს და ბეჭდვითი სიტყვის მხატვრულ-გრაფიკული სამუშაოთა ფასდებს; შეიმუშავეს და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარადგენს ყველა სახის ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის განაკვეთებს;



კ) შეიმუშავეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სტამბეზის, მუხრანის, ლობხისა და წიგნით ვაჭრობის ობიექტების მშენებლობის ტექნიკური ნაწილის პროექტებს, შეიტანს წინადადებებს აღნიშნული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ, შეიმუშავეს და დადგენილი წესით დაამტკიცებს ამ ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს, პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, შეიმუშავეს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული მთქმედი საწარმოების რეკონსტრუქციას და ახალი საწარმოების მშენებლობას;

ლ) გაანაწილებს საფინანსო და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც გამოიყოფა ახალი ტექნიკის გეგმების შესასრულებლად; დაფინანსებს საცდელ-საკონსტრუქტორი და ექსპერიმენტულ სამუშაოებს, რომლებიც სრულდება კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საწარმოებისათვის, ამ მიზნებისათვის გათვალისწინებულ საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, და განახორციელებს კონტროლს ამ სამუშაოთა შესრულებისადმი;

მ) განახორციელებს კომიტეტისადმი უშუალო დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, უზრუნველყოფს ამ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა დაფინანსებას, განიხილავს და დაამტკიცებს მათს საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, განახორციელებს კონტროლს; საფინანსო-საბიუჯეტო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვისადმი, ჩაატარებს მათი საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, დადგენილი წესით განახორციელებს ხელმძღვანელობას გამომუშავეების ნორმების გადასინჯვისა და დაცვისადმი, ისეთ ღონისძიებათა გატარებისადმი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის მეცნიერულად ორგანიზაციას და მის ნორმირებას, შრომის კანონმდებლობის, უსაფრთხოების ტექნიკის და შრომის დაცვის წესების დაცვას აღნიშნულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; შეადგენს პერიოდულ და წლიურ შეჯამებულ ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის ყველა სახეობის საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით; შეამოწმებს უშუალო დაქვემდებარების საცალო და საბითუმო წიგნსაქრო ქსელის ფონდებს და საჭირო შემთხვევებში მოახდენს დაქვემდებარებულ გამომცემლობათა მოძველებული გამოცემების ჩამოფასებასა და ჩამოწერას იმ ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია ჩამოფასებისა და ჩამოწერისაგან მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად;

ნ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობის, რაციონალიზაციის განვითარებას და მოწინავე გამოცდილების გავრცელებას; განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების გაზიარება, სამეურნეო ანგარიშის პრინციპების დაცვა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება;

ო) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად აწარმოებს მუშაობას, რათა დაიდოს კოლექტიური ხელშეკრულებანი და გაიშალოს სოციალისტური შეჯი-



ბრება პოლიგრაფიულ მრეწველობასა და წიგნით ვაჭრობაში, შეიქმნის სოციალისტური შეჯიბრების პირობებს და შეაჯამებს მის შედეგებს;

3) მოაწიოს პირველად აღრიცხვას კომიტეტის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კონტროლს გაუწევს ამ აღრიცხვის წარმოებას; განახორციელებს რესპუბლიკის გამომცემელი ორგანიზაციების, პოლიგრაფიული საწარმოების, წიგნით ვაჭრობის ქსელის საწარმოების ერთიან სახელმწიფო აღრიცხვას, აგრეთვე აწარმოებს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სახელმწიფო სტატისტიკას და ერთიან ბიბლიოგრაფიულ რეგისტრაციას.

ე) 1)

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) აუქციონოს საგამომცემლო საქმიანობა საქართველოს სსრ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც ასეთი საქმიანობის უფლება არა აქვთ მინიჭებული დადგენილი წესით; შეიტანოს დაზუსტებანი გამომცემლობათა საქმიანობის პროფილში;

ბ) ნება დაართოს, რომ გაიხსნას პოლიგრაფიული საწარმოები დადგენილი წესით, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

გ) მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა, სახელმწიფო კომიტეტებისა, უწყებებისა, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციებისაგან ცნობები, რომლებიც კომიტეტს სჭირდება მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად;

დ) მოიზიდოს დადგენილი წესით სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები, მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები ცალკეული საკითხების შესამუშავებლად, კონსულტაციების გასაწევად და ექსპერტიზის მოსახდენად;

ე) მიიღოს ყველა იმ ბეჭდვითი გამოცემის საკონტროლო ეგზემპლარები, რომლებსაც უშვებენ რესპუბლიკის გამომცემლობები, გამომცემი ორგანიზაციები და სხვა ორგანიზაციები.

ვ) 1)

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი განახორციელებს ხელმძღვანელობას საგამომცემლო საქმისადმი, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობისადმი შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მეშვეობით და განაგებს კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, კომიტეტის თავმ-

1) არ არის მოყვანილი

2) არ არის მოყვანილი.



ჯღომარის მოადგილეები და კომიტეტის წევრები, რომლებსაც ცხარე მხარე ართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც განაგებს პოლიგრაფიის, კაპიტალური მშენებლობის, საბჭული ქალაქისა და პოლიგრაფიული მოწყობილობის განაწილებას, არის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვემო კომიტეტის წევრი.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტის და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთელ საქმიანობას; გამოსცემს სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს და შეამოწმებს მათს შესრულებას; შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს დადგენილი წესით სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, დაამტკიცებს მათს სტრუქტურასა და შტატებს, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათს დაქვემდებარებას; დაამტკიცებს დებულებებს კომიტეტის მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წესდებებს (დებულებებს); თანამდებობაზე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომიტეტის ცენტრალურა აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს და დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების პასუხისმგებელ მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის თანახმად.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი განიხილავს თავის სხდომებზე უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ბეჭდვითი სიტყვის მაღალიდევრ და მაღალმატერჯულ საწარმოებთან შექმნასთან, საგამომცემლო საქმის, პოლიგრაფიის, წიგნით ვაჭრობის, ბეჭდვითის სიტყვაში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმის ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებასთან, და სხვა საკითხებს, რომლებიც კომიტეტის კომპეტენციაში შედის. კომიტეტის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით მოიწვევს აქტივის თათბირებს, სადაც განიხილება მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, სახელმწიფო კომიტეტის სახელმძღვანელო გადაწყვეტილებანი, აგრეთვე განიხილება საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხები.



10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნება სათანადო ორგანოების უფლებებით სამუშაოზე გამოცემული და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოები, საბჭოების შემადგენლობას და მათს დებულებებს დაამტკიცებს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. საბჭოების რეკომენდაციები ზორციელდება სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და სამტატო რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია თავისი სახელწოდება.

20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარ სამმართველოს „საქმთავარხილბოსტნეულის“ საკითხები

იმ მიზნით, რომ თავმოყრილ იქნას ბოსტნეულის, კარტოფილის, ბაღჩეული კულტურების, თესლოვანი, კურკოვანი, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული და გარეული ხილისა და კენკრის დამზადება, სამრეწველო გადამუშავება და გასაღება ერთ ორგანიზაციაში, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობისა და კურორტების მომარაგება ამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხილისა და ბოსტნეულის მიწოდება საერთო-საკავშირო ფონდისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეყაროს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 დეკემბრის № 747 დადგენილებით მოწყობილ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარ სამმართველოს „საქმთავარხილბოსტნეულს“:

ა) თესლოვანი, კურკოვანი, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული და გარეული ხილისა და კენკრის, კაკლისა და თხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის, შა-



ქრის ქარხლისა და ბალნეული კულტურების დამზადება საბჭოთა კავშირში — ბებნა და კოლმეურნეობებში და მათი შესყიდვა მოსახლეობისათვის სსრ ყველა რაიონში;

ამასთან დაკავშირებით ნება დაერთოს სამომხმარებლო კოოპერაციის შეისყიდოს მოსახლეობისაგან ზემოჩამოთვლილი პროდუქტების ნამეტი შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულების შემდეგ, ხოლო თავისი საკონსერვო ქარხნების ზონებში — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დაწესებული რაიონებრივი დამზადების გეგმების მიხედვით — ვარეული ხილი და კენკრა;

ბ) ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო გადამამუშავება (დაკონსერვება, მწნილის, ხილის წვენი და სხვ. დამზადება);

გ) ახალი ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციით ვაჭრობა, აგრეთვე პასუხისმგებლობა ამ პროდუქტების საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების გეგმის შესრულებისათვის;

დ) კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის შემოზიდვა რესპუბლიკაში სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების ფონდებით;

ე) ხილით, ბოსტნეულით, კარტოფილითა და კონსერვით საცალო და წვრილსაბითუმო ვაჭრობა ქალაქ თბილისსა და რუსთავში.

დაწესდეს, რომ ხილით, ბოსტნეულითა და კარტოფილით საცალო და წვრილსაბითუმო ვაჭრობა (სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების მომარაგება) დანარჩენ ქალაქებში და კურორტებზე რჩება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სისტემაში.

ნება დაერთოს „საქმთავარხილბოსტნეულს“ ვახსნას ქალაქ ქუთაისში, გაგრაში, წყალტუბოში, სოხუმსა და ბათუმში ხილის, ბოსტნეულისა და საკონსერვო პროდუქციის გასაყიდი სპეციალიზებული (საფირმი) მაღაზიები.

2. ამ დადგენილების 1 პუნქტში ჩამოთვლილი ამოცანების განსახორციელებლად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის მთავარ სამმართველოს „საქმთავარხილბოსტნეულს“ 1965 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით:

ა) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და თბილისის საქალაქო აღმასკომის სისტემიდან — თბილისის ხილბოსტნეულის დამზადებისა და ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაცია „თბილხილბოსტანვაჭრობა“ დამამზადებელ-ტექნიკური ბაზით, საწარმოებითა და საცალო ქსელით (ყვავილების სავაჭრო მაღაზიებისა და კიოსკების გამოკლებით) და ავტოტრანსპორტით.

ვაჭრობის სამინისტრომ და რუსთავის საქალაქო აღმასკომმა გამოუყონ „საქმთავარხილბოსტნეულს“ სპეციალიზებული მაღაზიები და კიოსკები ხილბოსტნეულის ვაჭრობისათვის ქ. რუსთავში.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და „საქმთავარხილბოსტნეულთან“ ერთად დააზუსტოს საქონელბრუნვის გეგმა და სასაქონლო დაფარვის გეგმა;



ბ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოდან — საქონის ტრესტი მთელი საკონსერვო ქარხნებითა და სხვა საწარმოებით, ბელ-ტექნიკური ბაზითა და ქონებით, აგრეთვე ახალციხის კარტოფილის სახამებლის გამომშუშავებელი ქარხანა;

ვ) საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციიდან — ცეკავშირიდან — ხილბოსტნეულის დამამზადებელ-ტექნიკური ბაზა, საფლთავი და სატარე ქარხნები, სატვირთავი პავილიონები და სასაწყობო სადგომები.

დაევალოს კომისიას ამხ. რთველიაშვილის (მოწვევა), კეჩუაშვილის, ზალდასტანიშვილის, ესაძისა და ქვარცხავას შემადგენლობით ერთი დეკადის ვადაში დაახუსტოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოდგინოს:

იმ დამამზადებელ-ტექნიკური ბაზების, სასაწყობო სადგომების, სატარე ქარხნების და სხვა ობიექტებისა და ქონების სია, რომლებიც ცეკავშირის სისტემიდან გადაეცა „საქმთავარხილბოსტნეულს“;

წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადაეცეს არსებული დამამზადებელი სისტემებიდან საშტატო ერთეულები „საქმთავარხილბოსტნეულის“ ახლადშექმნილ რაიონულ ქსელს.

დამამზადებელ-ტექნიკური ბაზის, სამრეწველო საწარმოების ტარისმასალების და სახელმწიფო ორგანიზაციითა სხვა ქონების გადაცემა „საქმთავარხილბოსტნეულისათვის“ მოხდეს ბალანსიდან ბალანსზე 1965 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის ქონების იმ ნაწილისა, რომელიც ცეკავშირს გადაეცა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 იანვრის № 87 დადგენილების თანახმად, — უსასყიდლოდ, გარდა იმ ობიექტების კაპიტალური დამანდებებისა, რაზედაც დახარჯულია კოოპერაციის საკუთარი სახსრები, რომლებიც გადაეცემა ფასგადახდით, დანარჩენი ნაწილისა კი შენდებადი ობიექტების ჩათვლით (ბანკის სესხთა გადაფორმებით), ღირებულების ანაზღაურებით, დადგენილი წესით.

დაევალოს „საქმთავარხილბოსტნეულს“, სახალხო მეურნეობის საბჭოს, ცეკავშირს და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაამთავრონ მიღება-გადაცემა არა უგვიანეს 1965 წლის 10 მარტისა.

3. დამტკიცდეს „საქმთავარხილბოსტნეულის“ სტრუქტურა № 1 დანართის თანახმად და შტატები 75 ერთეულის რაოდენობით, № 2 დანართის თანახმად.

„საქმთავარხილბოსტნეულის“ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

„საქმთავარხილბოსტნეულის“ საშტატო ერთეულები განისაზღვროს აღმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა და ხელფასის თვიური ფონდის შემცირების ხარჯზე:

— ცეკავშირის სისტემაში (გარდა დამამზადებელი კანტონებისა) — 25 ერთეულით, ხელფასის 1.850 მანეთის თვიური ფონდით;

— თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სისტემაში — 4 ერთეულით, ხელფასის 280 მანეთის თვიური ფონდით;



— თბილისილიბოსტანვაკრობის სისტემაში — ხელფასის 850 მანეთის ფონდით;

— საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში (საქკონსერვტრესტისა) — 5 ერთეულით, ხელფასის 500 მანეთის ფონდით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოუყოს „საქმთავარხილბოსტნეულს“ საშტატო ერთეულების დანაკლისი რაოდენობა და დამატებით — ხელფასის სათანადო ფონდი მთავარ სამმართველოს ცენტრალური აპარატისათვის.

4. ცეკავშირმა, სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ ვაკრობის სამინისტრომ გადასცენ „საქმთავარხილბოსტნეულს“ გადასაცემ ორგანიზაციათა და საწარმოთა შესაბამისი რაიონული დამამზადებელი აპარატი, აგრეთვე არსებული ტარასაფუთავი და სხვა მასალები, სასაქონლო-მატერიალური მომარაგების მთელი ფონდები, შრომის გეგმები, თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ლიმიტები და მსუბუქი ავტოტრანსპორტის შესანახი ხარჯების ლიმიტები 1965 წლისათვის და, ამის გარდა, 1965 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი 1965 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში.

5. მოეწყოს „საქმთავარხილბოსტნეულის“ სისტემაში:

ა) ხილბოსტნეულის დამზადებისა და გასაღების აფხაზეთის რესპუბლიკური სამმართველო — „აფხაზხილბოსტნეული“;

ბილისა და ბოსტნეულის დამზადების და გასაღების აჭარის რესპუბლიკური სამმართველო — „აჭარხილბოსტნეული“;

ბილისა და ბოსტნეულის დამზადების და გასაღების სამხრეთ ოსეთის საოლქო სამმართველო — „სამხრეთოსეთხილბოსტნეული“;

სარაიონთაშორისო და რაიონული დამამზადებელ-გამსაღებელი კანტორები, № 3 დანართის თანახმად.

6. დაევალოს „საქმთავარხილბოსტნეულს“ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დებულება მთავარ სამმართველოს შესახებ.

7. შეუნარჩუნდეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სისტემის ცალკეულ ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობებს „საქმთავარხილბოსტნეულთან“ შეთანხმებული სიის მიხედვით იმის უფლება, რომ უშუალოდ აწარმოონ ბილისა და ბოსტნეულის საბითუმო მიყიდვა (მიწოდება) მომხმარებლებისათვის, გამოყენების დამტკიცებული გეგმის ფარგლებში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) შეისწავლოს და ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ახალი საკონსერვო ქარხნების შემდგომი მშენებლობა;



ბ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების სამინისტროსთან და „საქმთავარხილბოსტნეულთან“ ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა წარმოებდეს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და მოსახლეობის სტიმულირება, როდესაც ისინი „საქმთავარხილბოსტნეულს“ მიყიდიან პროდუქტებს ზილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის სახელმწიფო გეგმების შესრულების შემდეგ.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან და საქმთავარხილბოსტნეულთან ერთად, ვანიხილოს და წარმოადგინოს წინადადებანი ზილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის გადაზიდვის უზრუნველყოფის შესახებ.

10. ნება დაერთოს „საქმთავარხილბოსტნეულს“ იყოლოს თავის გარეში (თბილხილბოსტანვაჭრობისა) მსუბუქი ავტომანქანები სამსახურებრივი სარგებლობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 10 თებერვალი, № 76.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 10 თებერვლის № 111/სსრ
დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ მ ტ უ რ ბ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ზილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავების და რელიზაციის მთავარი სამმართველოები („საქმთავარზილბოსტნეული“)

1. ხელმძღვანელობა
2. დამზადების განყოფილება
3. საბითუმო და საცალო ვაჭრობის განყოფილება
4. საწარმოო-ტექნიკური განყოფილება
5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
6. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და ტარის წარმოების განყოფილება
7. საგეგმო განყოფილება
8. საფინანსო განყოფილება
9. კადრების განყოფილება
10. ცენტრალური ბუღალტერია
11. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

მთავარ სამმართველოს შემადგენლობაში შედიან:

1. საქონისერვტრესტი
2. „თბილზილბოსტანვაჭრობა“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჰირაბაძე.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 10 თებერვლის № 179/0133 ა
დადგენილების დანართი № 2

შ ბ ა ტ ე ბ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადაამუშავების და რეალიზაციის მთავარ სამმართველოსი („საქმთავარბილბოსტნეული“)

	რაოდენობა
I. ხელმძღვანელობა	
მთავარი სამმართველოს უფროსი	1
მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე	1
უფროსის მოადგილე	1
უფროსის თანამემწე	1
იურისკონსულტი	1
მდივანი-მემაწვანე	2
სულ	7
II. დამზადების განყოფილება	
მთავარი ინსპექტორი — განყოფილების გამგე	1
უფროსი ინსპექტორი — განყოფილების გამგის მოადგილე	1
უფროსი ინსპექტორი	5
ინსპექტორი	5
სულ	12
III. საბათუმო და საცალო ვაჭრობის განყოფილება	
განყოფილების გამგე	1
განყოფილების გამგის მოადგილე	1
უფროსი საკონულმცოდნე	2
საკონულმცოდნე	1
ეკონომისტი	1
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი სარკინიგზო გადაზიდვისა და ავიაგადაზიდვის ხაზით	1
ინჟინერ-ეკონომისტი ავტოგადაზიდვის ხაზით	1
სულ	8
IV. საწარმოო-ტექნიკური განყოფილება	
განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი	1
მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი — განყოფილების უფროსის მოადგილე	1
ინჟინერ-ტექნოლოგი	1
ინჟინერ-მექანიკოსი მოწყობილობების დარგში	1
სულ	4

V. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება		
განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერი		1
უფროსი ინჟინერი — განყოფილების უფროსის მოადგილე		1
ინჟინერ-ეკონომისტი		1
ეკონომისტი		1
სულ		4
VI. მატერიალურ-ტექნიკური მოამარაგებისა და ტარის წარმოების განყოფილება		
განყოფილების უფროსი		1
უფროსი ინჟინერი — განყოფილების უფროსის მოადგილე		1
ინჟინერი		1
უფროსი საქონელმცოდნე		1
საქონელმცოდნე		1
უფროსი ინჟინერი ტარის წარმოების დარგში		1
ეკონომისტი		1
სულ		7
VII. საგეგმო განყოფილება		
საგეგმო განყოფილების უფროსი		1
უფროსი ეკონომისტ-მეგებავი განყოფილების უფროსის მოადგილე		1
ეკონომისტი		2
უფროსი ეკონომისტი შრომის დარგში		1
სულ		5
VIII. საფინანსო განყოფილება		
განყოფილების უფროსი (ეკონომისტ-ფინანსისტი)		1
უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი — განყოფილების უფროსის მოადგილე		1
ეკონომისტ-ფინანსისტი		2
სულ		4
IX. კადრების განყოფილება		
განყოფილების უფროსი		1
უფროსი ინსპექტორი — განყოფილების უფროსის მოადგილე		1
ინსპექტორი		1
მეშენი		1
სულ		4



X. ცენტრალური ბუღალტერია	
მთავარი ბუღალტერი	1
მთავარი ბუღალტრის მოადგილე	1
უფროსი ბუღალტერი	2
უფროსი ბუღალტერ-რევიზორი	2
ბუღალტერ-რევიზორი	2
სულ	8
XI. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
საქმისწარმოებელი	1
სამეურნეო ნაწილის გამგე-მომარე	1
უფროსი ბუღალტერი	1
უფროსი მუშაკი	2
მუშაკი	1
შეკრიცი	1
დამლაგებელი	2
მსუბუქი მანქანის მოფერი	2
სულ	12
მთლად	75

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე**.



ს ი ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავების და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს („საქმთავარხილბოსტნეულის“) სამმართველოებისა და დამამზადებელი ორგანიზაციებისა:

1. აღზაზეთის რესპუბლიკური სამმართველო — „აფხაზხილბოსტნეული“
2. აჭარის რესპუბლიკური სამმართველო — „აჭარხილბოსტნეული“
3. სამხრეთ ოსეთის საოლქო სამმართველო — „სამხრეთოსეთხილბოსტნეული“.

სარაიონთაშორისო დამამზადებელი კანტორები

4. ამბროლაურის — მომსახურებას გაუწევს ონის რაიონს
5. ახალქალაქის — მომსახურებას გაუწევს ბოგდანოვკის რაიონს
6. ბოლნისის — მომსახურებას გაუწევს დმანისის რაიონს
7. ხაშურის — მომსახურებას გაუწევს ბორჯომის რაიონს
8. საგარეჯოს — მომსახურებას გაუწევს თიანეთის რაიონს
9. გურჯაანის — მომსახურებას გაუწევს ყვარლის რაიონს
10. გეგეჭკორის — მომსახურებას გაუწევს აბაშის რაიონს
11. ზესტაფონის — მომსახურებას გაუწევს ორჯონიკიძის და თერჯოლის რაიონებს
12. წნორის — მომსახურებას გაუწევს სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებს
13. ახმეტის — მომსახურებას გაუწევს თელავის რაიონს
14. ცხაკაიას — მომსახურებას გაუწევს ჩხოროწყუს რაიონს
15. ქუთაისის სარაიონთაშორისო ბაზა — მომსახურებას გაუწევს წყალტუბოს და მაიაკოვსკის რაიონებს
16. საჩხერის — მომსახურებას გაუწევს ჭიათურის რაიონს
17. ცაგერის — მომსახურებას გაუწევს ლენტეხის რაიონს
18. ზუგდიდის — მომსახურებას გაუწევს წალენჯიხის და მესტიის რაიონებს
19. მახარაძის — მომსახურებას გაუწევს ჩოხატაურის რაიონს

რაიონული დამამზადებელი კანტორები

20. ახალციხის
21. გორის
22. დუშეთის

23. კასპის
24. ქარელის
25. ლავოდების
26. მცხეთის
27. მარნეულის
28. გარდაბნის
29. თეთრიწყაროს
30. ვანის
31. ლანჩხუთის
32. ტყიბულის
33. წალკის
34. სამტრედიის
35. წულუკიძის

შენიშვნა: ზოზის რაიონში დამზადებებს მომსახურებას უწევს ზოზის საკონსერვო ქარხანა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. შირაძემ.

21 იმის შესახებ, რომ უფლება მიენიოთ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს აღნიშნონ მრავალწლიანი და მარტოხელა დედაების ოჯახების შემადგენელი. გაუზიარონ მათი მომხდარი ცვლილებები, რაც შემდგომ აცნობონ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას, ნაცვლად იმისა, რომ პირადად გამოცხადდნენ ამ განყოფილებაში მრავალწლიანი და მარტოხელა დედეები.

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

უფლება მიენიოთ მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს აღნიშნონ მრავალწლიანი და მარტოხელა დედეების პირად წიგნაკებში მათი ოჯახების შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები, რაც შემდგომ აცნობონ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას, ნაცვლად იმისა, რომ პირადად გამოცხადდნენ ამ განყოფილებაში მრავალწლიანი და მარტოხელა დედეები.

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების და ცხინვალის, ჭიათურის, ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაუყოვნებლივ აცნობონ მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე მოსახლეობას ამ დადგენილებების შინაარსი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაბახიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქიაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 12 თებერვალი, № 80.

22 სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების გარდაქმნის შესახებ

„საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ქანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1965 წლის სახალხო მეურნეობის გეგმით და ბიუჯეტით გათვალისწინებული პერსონალის და საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში:

ა) ჩამოაყალიბოს ახლადშექმნილ რაიონებში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები № 1 დანართის თანახმად;



ბ) გარდაქმნას და გააუქმოს ქალაქების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები № 2 დანართის თანახმად;

2. რაიონების სანეპიდსადგურების მთავარი ექიმები უშუალოდ დაექვემდებაროს რაიონების მთავარ ექიმებს.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიტანოს საჭირო ცვლილებანი რაიონებსა და ქალაქებში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების რეორგანიზებულ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებსა და ბიუჯეტებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 12 თებერვალი. № 83.



ს ი ა

**რაიონებისა, სადაც ეწყობა დამოუკიდებელი წანიტარულ-ეპიდემიოლოგიური
სადგურები**

აბაშის, ბოგდანოვკის, ქარელის, წალკის, დმანისის, ლაგოდეხის, წითელ-
წყაროს, ონის, ვანის, წულუკიძის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, ხობის, ბათუმის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 12 თებერვლის № 83
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

**საქალაქო წანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურებისა, რომლებიც უნდა
გარდაიქმნას ან გაუქმდეს**

I. გარდაიქმნას:

- ქ. ბორჯომისა — ბორჯომის რაიონის სადგურად
- დაბა მარნეულისა — მარნეულის რაიონის სადგურად
- ქ. კასპისა — კასპის რაიონის სადგურად
- ქ. გავრისა — გავრის რაიონის სადგურად
- ქ. ქობულეთისა — ქობულეთის რაიონის სადგურად

II. გაუქმდეს

ქ. სამტრედიის, ქ. ზესტაფონის, ქ. წყალტუბოს, ქ. ზუგდიდის წანიტარულ-
ეპიდემიოლოგიური სადგურები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.



23 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარატის სტრუქტურაში ცვლილებათა შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს წინადადება და დამტკიცდეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და შტატი, №№ 1 და 2 დანართების თანახმად, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის იმ რაოდენობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში, რაც ამ სამინისტროს ცენტრალურ აპარატს დაუმტკიცდა 1965 წლისათვის.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 5 ოქტომბრის № 619 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარატის სტრუქტურის შეცვლას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 16 თებერვალი, № 90.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 16 თებერვლის № 90
დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსი

1. ხელმძღვანელობა
2. საფოსტო კავშირის სამმართველო
3. საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის სამმართველო
4. საგეგმო-საფინანსო სამმართველო
5. შრომისა და ხელფასის განყოფილება
6. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
7. ცენტრალური ბუღალტერია
8. კადრების განყოფილება
9. განყოფილება
10. განყოფილება
11. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.



საქართველოს სსრ მინისტრთა კაბინეტი
1965 წლის 16 თებერვლის № 100
დადგენილების შესახებ

საშბატო ბანრივი

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსი

სტრუქტურულ ქვეგანყოფილა და თანამდებობათა დასახელება	ყოველწლიური რაოდენობა	თანამდებობათივი განაკვეთი	სულ ხელფასი თვეში
კავშირგაბმულობის მინისტრი	1	430	430
მინისტრის შირველი შოადგილე	1	310	310
მინისტრის შოადგილე	1	300	300
მინისტრის თანაშემწე	1	93	93
ინჟინერი კონტროლის დარგში	1	84	84
იურისკონსულტი	1	52-50	52-50
სულ	6	-	1269-50
საფოსტო კავშირის სამმართველო			
სამმართველოს უფროსი	1	93	93
სამმართველოს უფროსის შოადგილე	1	88	88
უფროსი ინჟინერი	1	88	88
უფროსი ეკონომისტი	1	69	69
ინჟინერ-ეკონომისტი	2	79	158
შეკანისაყიის ინჟინერი	1	74	74
უფროსი ინსტრუქტორი	1	64	64
ინსტრუქტორი	1	55	55
სულ	9	-	689
საქალაქთაშორისო-სატელეფონო სატელეგრაფო კავშირის სამმართველო			
სამმართველოს უფროსი	1	98	98
სამმართველოს უფროსის შოადგილე	1	88	88
უფროსი ინჟინერი	2	88	176
ინჟინერი	4	79	316
ინსტრუქტორი	1	64	64
სულ	9	-	742
საგემო-საფინანსო სამმართველო			
სამმართველოს უფროსი	1	93	93
სამმართველოს უფროსის შოადგილე	1	88	88
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი	1	88	88
ინჟინერ-ეკონომისტი	2	79	158
ეკონომისტი	1	69	69
სულ	6	-	496



სტრუქტურულ ქვეგანყოფილება და თანამდებობათა დასახელება	ეროვნული ბიბლიოთეკის რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის რაოდენობა
შრომისა და ზედღასის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	93	93
უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი	1	88	88
უფროსი ინჟინერი უსაფრთხოების ტექნიკისა და რაციონალიზაციის დარგში	1	88	88
ინჟინერ-ეკონომისტი	1	79	79
სულ	4	—	348
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	93	93
უფროსი ინჟინერი	1	88	88
ინჟინერი	2	79	158
სულ	4	—	339
ცენტრალური ბუღალტერია			
მთავარი ბუღალტერი	1	91-50	91-50
მთავარი ბუღალტრის მოადგილე	1	79	79
უფროსი ბუღალტერი	2	60	120
ბუღალტერი	3	50	150
უფროსი ბუღალტერ-რევიზორი	1	79	79
ბუღალტერ-რევიზორი	6	69	414
სულ	14	—	933-50
კადრების განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	93	93
უფროსი ინჟინერი	1	88	88
ინჟინერი	1	79	79
სულ	3	—	260
განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	93	93
ინჟინერი	2	79	158
ინჟინერი	1	60	60
სულ	4	—	311
განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	93	93
უფროსი ინსტრუქტორი	1	74	74
ინსტრუქტორი	1	61	61
ინსტრუქტორი	1	60	60
სულ	4	—	291



სტრუქტურულ კვიგანაცოფო და თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი გეგმის კვეთი	სტრუქტურული გეგმის თვეში
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	79	79
მინისტრის და მისი მოადგილეების მდივანი	1	55	55
არქივარიუს-ბიბლიოთეკარი	1	55	55
საქმისმწარმოებელი	1	50	50
უფროსი მემანქანე	1	45	45
მემანქანე	1	41	41
მემანქანე-სტეკლოგრაფი	1	41	41
შეკრიფი-დაშლაგებელი	1	40	40
სულ	8	—	406
შთაღ	71	—	6065

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. შირაშაძე.



24 რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების შექმნის შესახებ

ქ. რუსთავში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვის, განაწილებისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ-
გენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ შეიქმნას რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილება 5 საშტატო ერთეულით და თვეში 284 მან. ხელფასის ფონდით, № 1 დანართის თანახმად, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა 2 ერთეულის ხარჯზე ხელფასის 105 მან. თვიური ფონდით, № 2 დანართის თანახმად, და რესპუბლიკის მმართველობის რაიონული ორგანოების 3 ერთეულის ხარჯზე ხელფასის 179 მან. თვიური ფონდით.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შექმნას აღნიშნული განყოფილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაძეაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 16 თებერვალი, № 91.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 16 თებერვლის № 91
დადგენილების დანართი № 1

საშტატო ბანრიზი

რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილებისა

	საშტატო ვრ-თფულების რაოდენობა	თანამდებობ-რივი განაკვეთები	ხელფასის თეიურთი ფონდი
განყოფილების გამგე	1	74	74
ინსპექტორი	3	55	165
მდივანი-მუშაუნაე	1	45	45
სულ	5	—	984

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. შირაძაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 16 თებერვლის № 91
დადგენილების დანართი № 2

ნ უ ს ხ ა

რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის აპარატის შემცირებული თანამდებობებისა აღმასკომთან საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების შექმნასთან დაკავშირებით

შესამცირებელი თანამდებობანი	საშტატო ვრ-თფულების რაოდენობა	ხელფასის თეიურთი ფონდი
საბინაო მეურნეობის განყოფილების საცხოვრებელი ფონდის ინჟინერი	1	75
საბინაო კომუნალური მეურნეობის განყოფილების შიკრიკი-დამლაგებელი	1	30
სულ	2	105

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. შირაძაძე.



25 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ელექტროენერჯის თბოენერჯისა და სათბობის მომპირნეობით ხარჯვის შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, შშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) აღმოფხვრან ამ დადგენილებით აღნიშნული ნაკლოვანებანი, მოაწყონ მოშაობა ელექტროენერჯის, თბოენერჯისა და სათბობის უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის. გადაკრით აღკვეთონ უყარათობა მათ ხარჯვაში, შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1965 წლისათვის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ყველა სახის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომპირნეობით ხარჯვა მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე ელექტროენერჯის რაციონალურად ხარჯვა კომუნალური საწარმოებისა, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და საქალაქო ელექტროფიკრებული ტრანსპორტისათვის, რეკლამისათვის, ქუჩების, მოედნების, პარკების, ვიტრინების, შიგაკვარტალური ტერიტორიების, საცხოვრებელ სახლებში, საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებში ცალკე სადგომების გასანათებლად, ამასთან უზრუნველყონ განათების მოქმედი ნორმატივების დაცვა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ისეთ ღონისძიებათა მუდმივ განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწყობილობის უკეთ დატვირთვის და ელექტროენერჯის დანაჯარვების შემცირებას. — ისეთი ღონისძიებებისა, როგორცაა ელექტროძრავების დატვირთვის შემოწმება და გადიდებული სიმძლავრის ელექტროძრავების გამოცვლა, შეკუმშული ჰაერისა და წყლის გადენის აღმოფხვრა, ელექტროლუმენების თბოიზოლაციის გაუმჯობესება და სხვა;

ბ) შეასრულონ თვითეულ საწარმოში და ყოველ მშენებლობაზე ელექტროენერჯის, თბოენერჯისა და სათბობის მომპირნეობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა წლიური გეგმები, აგრეთვე შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ზომები, რომლებიც დიდ ხარჯებს არ მოითხოვენ (ყრძოდ, ზვირად ღირებული მოწყობილობის შექენისა), რათა შემდგომ შემცირდეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმები 1965 წელს დაწესებულ დავალებებთან შედარებით; გაითვალისწინონ გეგმებით, 1965 წლიდან დაწყებული, მასალების, მოწყობილობისა და ასიგნობათა გამოყოფა ელექტროენერჯის, თბოენერჯისა და სათბობის მომპირნეობის დასახულ ღონისძიებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

უზრუნველყონ, რომ ყველა საწარმომ და ორგანიზაციამ დაიცვას ელექტროენერჯის მოხმარების მათთვის დაწესებული გეგმები.



2. დაწესდეს, რომ, თუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილი ვენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს ქსელეზში ჩართულმა საწარმოებმა ან ორგანიზაციებმა გადაამეტეს ელექტროენერჯის მოხმარების სადღელამისო გეგმას, ისინი მოვალენი არიან მოახდინონ გადახარჯვის კომპენსაცია 10 დღის განმავლობაში. თუ გადახარჯვა არ იქნა დაფარული, გადახდეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, 1965 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, იმ ელექტროენერჯის საფასური, რაც მათ დახარჯეს ელექტროენერჯის მოხმარების ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული თვიური გეგმების გადამეტებით, — ელექტროენერჯის ტარიფის ხელშეკრულებით. ელექტროენერჯის ტარიფის გადამეტებით გადახდებულნი თანხები შეეკუთვნოს საწარმოს (ორგანიზაციის) პროდუქციის თვითღირებულებას.

3. დაევალოს საპროექტო ინსტიტუტებს — ქალაქმშენპროექტს და თბილქალაქპროექტს შექმნან 1965 წლიდან თავიანთ შემადგენლობაში გარეგანი განათების მოწყობილობის დაპროექტების სპეციალიზებული ჯგუფები შრომის არსებული ლიმიტების ხარჯზე.

დადგენილ იქნას სავალდებულო წესი, რომლის მიხედვითაც გაზუშუქვანი სარეკლამო განათების და ვიტრინების განათების დანადგარების პროექტები უნდა შეუთანხმდეს ქალაქების მთავარ არქიტექტორებს და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან გარეგანი განათების მოწყობის ექსპლუატაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ვენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველომ შეიმუშაოს 1965 წელს გარეგანი განათების მოწყობილობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პერსპექტიული გეგმები პირველ რიგში ქალაქ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, გორისა და გუგარის ცენტრალური მოედნებისათვის, მაგისტრალური და სატრანზიტო ქუჩებისათვის.

4. იმ დანაკარგების აღმოსაფხვრელად, რომლებიც სახალხო მეურნეობაში შეიქმნება ელექტროდენის დაბალი ძაბვისა და სიხშირის გამო, დაევალოს საქმთავარენერჯოს:

ა) განახორციელოს 1965-1966 წლების განმავლობაში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ელექტროდენის ნორმალური ძაბვის დაცვას სამრეწველო, საქალაქო და სასოფლო-სამეურნეო მომხმარებლებთან; გაითვალისწინოს ამისათვის სინქრონული კომპენსატორების და სტატიკური კონდენსატორების დაყენება რაიონულ ქვესადგურებში, მომხმარებლებთან და რაც შეიძლება უფრო რაციონალურად გამოყენება. ელექტროგადამცემი ხაზების გადაყვანა გადიდებულ ძაბვაზე, არასაკმაო კვეთის სადენების გამოცვლა საჭირო შემთხვევებში, აგრეთვე დაამთავროს 1970 წლამდე ქ. თბილისის 127 ვოლტის ძაბვის საქალაქო ელექტროქსელების გადაყვანა 220 ვოლტზე;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ საქმთავარენერჯოს ენერგოგასაღებამ აქტიური ბრძოლა აწარმოოს მომხმარებლების მიერ ელექტროენერჯისა და თბოენერჯის მომჭირნობით ხარჯვისათვის;



გ) აუქრძალოს დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოსახლეობას ელექტროენერჯის გამოყენება სპეციალური ნებართვის უქონლად სამსახურში და საცხოვრებელი სადგომების გასათბობად;

დ) გააძლიეროს ბრძოლა საბინაო-საყოფაცხოვრებო სექტორში ელექტროენერჯის ქურდობის წინააღმდეგ და გამოიყენოს ამისათვის პრესა, რადიო და ტელევიზია;

ე) უზრუნველყოს აქტიური დატვირთვის ყველაზე ეკონომიურად განაწილება ელექტროსადგურებს შორის;

ვ) უზრუნველყოს მომხმარებელთა დროულად შეერთება ქ. თბილისის ახალ 110-კილოვოლტიან სადგურებთან.

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების სამრეწველო საწარმოებს და საკმთავეწერგოს ხარჯონ. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით გაღებულ ასიგნობათა გადამეტებით, იმ თანხების 50 პროცენტამდე, რასაც ისინი მიიღებენ ელექტროენერჯის ტარიფის ფასდაკლებისა და დანამატების სკალის გამოყენების შედეგად. — ელექტროდანიდგარების სიმძლავრეთა კოეფიციენტის გადიდების ღონისძიებებისათვის, მათ შორის მაკომპენსირებელი მოწყობილობის დაპროექტებისა, შექმნისა და დაყენებისათვის, აგრეთვე ელექტროქსელებში ენერჯის დანაკარგის შემცირებისაგან მიმართული ღონისძიებებისა და ელექტრომეურნეობის რაციონალიზაციისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს და საპროექტო ორგანიზაციებს:

ა) გაითვალისწინონ ახალი საწარმოების პროექტებით რაციონალური სანათების გაზგანმუხტველი ლამპების, განათების ავტომატური და ნახევრად ავტომატური მართვის აპარატურის, სინქრონული ელექტროძრავების, სინქრონული კომპენსატორების და სტატიკური კონდენსატორების, ნახევრადგამტარი გამმართველების, დატვირთვის ქვეშ ძაბვის მარეგულირებელი ტრანსფორმატორების და ეკონომიური მოწყობილობის სხვა სახეობათა გამოყენება ელექტროქსელებში ელექტროენერჯის რაც შეიძლება მეტი ეკონომიისა და ძაბვის ოპტიმალური დონის მისაღწევად;

ბ) სამრეწველო საწარმოების დაპროექტების დროს განსაზღვრონ ამ საწარმოების მოთხოვნილება ელექტროენერჯისა, თბოენერჯისა და სათბობზე მეორადი ენერგეტიკული რესურსების რაციონალურად გამოყენების გათვალისწინებით. ხოლო დიდი ენერგოტევადი საწარმოთა პროექტების შემუშავების დროს შეიტანონ პროექტის შემადგენლობაში საწარმოს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი.

7. ვინაიდან მრეწველობაში მეორადი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ხარჯზე მოიპოვება სათბობის საგრძნობი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა, დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

შემიუშაონ და დაამტკიცონ 1965 წლის პირველ კვარტალში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მეორადი ენერგეტიკული რესურსების გა-



მოყენების გადიდებას; გაითვალისწინონ მრეწველობის შესაბამისი ტექნიკის განვითარების 1966-1970 წლების გეგმების პროექტებით მეორე ექვწევლი კული რესურსების გამოყენებისა და საუტილიზაციო დანადგარების დანერგვისა სამუშაოთა საჭირო მოცულობა და შესაბამისი კაპიტალური დაბანდებანი.

გაითვალისწინონ ელექტროენერჯისა და თბოენერჯის წარმოების და მოხმარების გეგმებით იმ ენერჯის სრულად გამოყენება, რომელიც მიღებული იქნება საუტილიზაციო დანადგარებიდან, აგრეთვე განახორციელონ საუტილიზაციო დანადგარების საექსპლუატაციოდ გადაცემის სამუშაოთა დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის საექსპლუატაციოდ გადაცემის სამუშაოთა თანაბრად.

აიკრძალოს 1965 წლის მეორე ნახევრიდან ახალი აგრეგატების და სამრეწველო ლუმელების გადაცემა საექსპლუატაციოდ ისე, თუ არ ექნებათ წარმოებაში ათვისებული საუტილიზაციო დანადგარები, რომლებიც გაითვალისწინებულია პროექტებით.

8. დაევალოთ საქმთავარენერჯოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების გეგმის პროექტის შემუშავების დროს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქვაბე-სალუმელე სათბობის ხარჯვის ნორმების საშუალო შემცირებას 1970 წელს 1965 წელთან შედარებით სულ ცოტა 11 პროცენტით და მრეწველობაში — სულ ცოტა 5 პროცენტით.

9. დაწესდეს, რომ საქმთავარენერჯოს ენერჯოგასაღების ინსპექტორებს შეუძლიათ დაუბრკოლებლივ შეამოწმონ დღე-ღამის ყოველ დროს ელექტროდანადგარები და თბოდანადგარები ყველა საწარმოში, დამოუკიდებლად მათი უწყებრივი კუთვნილებისა (გარდა განსაკუთრებით სარეგიონო საწარმოებისა), აძლიონ ელექტროენერჯისა და თბოენერჯის ყველა მომხმარებლისათვის სავალდებულო მიწერილობანი ამ სახის ენერჯის რაციონალურად გამოყენების შესახებ, აგრეთვე ენერჯომოწყობილობის ექსპლუატაციის წესებისა და მათი მუშაობის რეჟიმების აღმონილი დარღვევების აღმოფხვრის შესახებ.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) მოაწიოს თავისი ენერგეტიკული სამსახურებისა და სათბობის მომარაგება-გასაღების ორგანოების ძალებით იმისადმი კონტროლი, რომ სამრეწველო საწარმოებმა, ელექტროსადგურებმა და სხვა მომხმარებლებმა რაციონალურად გამოიყენონ საქვაბე-სალუმელე სათბობი;

ბ) შეადგინოს 1965 წელს, საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის და საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით, რუსთავის სამრეწველო რაიონის და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი, აგრეთვე შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ელექტროენერჯისა და თბოენერჯის რაციონალურად გამოყენება და საქვაბე-სალუმელე სათბობის მომჭირნობით ხარჯვა საქართველოს

სსრ სახალხო მეურნეობის საწარმოებში იმ ანგარიშით, რომ 1966-1970 წლების გეგმის პროექტით ვათვალისწინებულ იქნას ამ ღონისძიებათა განხორციელება.

გ) შეასრულოს 1966 წლიდან, საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან სახელშეკრულებო საწყისებზე, მოქმედი სამრეწველო საწარმოების სათბობ-ენერგეტიკული ბალანსების შედგენის სამუშაოები; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცის მეორადი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებას და საქვაბე-სალუმელე სათბობის ეკონომიას;

დ) საჭირო დახმარება აღმოეჩინოს დაქვემდებარებულ საწარმოებს ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაში, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებათა გატარების გრაფიკები და მუდმივი კონტროლი გეგმის მათს შესრულებას.

11. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, შშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა გადაიტანონ, 1965 წლიდან დაწყებული, ზაფხულის პერიოდში (საქმთავარენერგოსთან და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით) დრო მუშაობის დაწყებისა და დამთავრებისა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში 1,5-2 საათით იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას ელექტროენერგიის მომჭირნეობა განათებაზე და გამოსწორდეს ენერგოსისტემის ელექტროდატვირთვის სადღეღამისო გრაფიკი.

12. ვინაიდან ყველა სახეობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვით ხარჯვის საკითხებს უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის უფრო სწრაფი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში, დაევალოთ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, ქარხნების, ფაბრიკების, შშენებლობების, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტების, სატრანსპორტო, საბინაო და კომუნალური საწარმოების ხელმძღვანელებს უმოკლეს ვადაში შეამოწონ ყველა სახეობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობა და განიხილონ შშრომელთა კრებებზე წინადადებანი სათბობის, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის ხარჯვაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მათი უფრო რაციონალურად გამოყენების შესახებ, ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებას.

13. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქმთავარენერგოს 1965 წლის 1 დეკემბრისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.



26 საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ბამო სამმართველოების დისლოკაციის შესახებ უიჯლირთვა

რესპუბლიკის ადმინისტრაციული რაიონების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წყალთა მეურნეობის საექსპლუატაციო ორგანოების უკეთ განლაგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას ლაგოების სასისტემო სამმართველო, რომელიც მომსახურებას გაუწევს ლაგოებისა და ნაწილობრივ სიღნაღის რაიონების ზონებს, ხოლო ყვარლის სასისტემო სამმართველოს მომსახურებაში დარჩეს ყვარლის რაიონი, ადგილსამყოფელით ქ. ყვარელში.

2. შეეცვალოს სახელწოდება შემდეგ სასისტემო სამმართველოებს და ეწოდოს:

საგარეჯოს სამმართველოს — ქვემო სამგორის სასისტემო სამმართველო, ზესტაფონ-მაიაკოვსკის სამმართველოს — ზესტაფონის სასისტემო სამმართველო, წყალტუბო-ამბროლაურის სამმართველოს — წყალტუბოს სასისტემო სამმართველო და ხაშურის სამმართველოს — ტაშისკარის სასისტემო სამმართველო.

3. გამოიყოს ზესტაფონის სასისტემო სამმართველოს მომსახურების ზონიდან ვანის რაიონი და გადაეცეს იგი წულუკიძის სასისტემო სამმართველოს.

4. გამოიყოს ქვემო სამგორის სასისტემო სამმართველოს მომსახურების ზონიდან თიანეთის რაიონი და გადაეცეს იგი მცხეთის სასისტემო სამმართველოს.

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სასისტემო სამმართველოების ახალი დისლოკაცია, მათი ადგილსამყოფელის და მომსახურების ზონების ჩვენებით, დანართის თანახმად.

6. გაუდიდდეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს 1965 წელს ლაგოების სასისტემო სამმართველოსათვის ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ლიმიტი 6 ერთეულით 1965 წელს სამინისტროსათვის დამტკიცებულ მომუშავეთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. ჯაპახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. შირაძეძე.



დ ი ს ლ ო კ ა ც ი ა

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სახისტემო სამმართველოებისა

სახისტემო სამმართველოები	სამინისტროს რაიონები	სახისტემო სამმართველოების ადგილსამყოფა
1. აფხაზეთის	გაგრის გაღის გუდაუთის იშაჩხორის ველრიფშის	ქ. სოხუმი
2. აჭარის	ბათუმის ქედის ხულოს შუა ხევის	ქ. ბათუმი
3. სამხრეთ დასავლეთის	ზნაურის ლენინგორის ჩავის ცხინვალის გორის (ნაწილობრივად)	ქ. ცხინვალი
4. ალაზნის	სიღნაღის გურჯაანის წითელწყაროს თელავის	დ. წნობა
5. ახალქალაქის	ახალქალაქის ბოგდანოვის	ქ. ახალქალაქი
6. ახალციხის	ახალციხის	ქ. ახალციხე
7. ბოლნისის	ბოლნისის ღმანისის	დ. ბოლნისი
8. გორის	გორის ზნაურის (ნაწილობრივად) ლენინგორის ცხინვალის	ქ. გორი
9. დებედა-ბრამის	მარნეულის	დ. მარნეული
10. მცხეთის	მცხეთის დუშეთის უაზბეგის თიანეთის	ქ. მცხეთა



სსსრკში სამმართველოები	ადმინისტრაციული რაიონები	ეროვნული სასისტემური ბიბლიოთეკის დევიდსამყოფელოები
11. ზესტაფონის	ზესტაფონის მთავრის საჩუქრის თერჯოლის ორჭონიკიძის	ქ. ზესტაფონი
12. ზუგდიდის	ზუგდიდის ხობის წალენჯიხის მესტიის	ქ. ზუგდიდი
13. ქსანი-თეძაძის	ქსანის	ქ. ქსანი
14. კობლეის	კობლეის ქ. ფოთის აბაშის ჩხორიშვილის	ქ. ფოთი
15. ყვარლის	ყვარლის	ქ. ყვარლი
16. ლაკოდეხის	ლაკოდეხის სიღნაღის (ნაწილობრივად)	ქ. ლაკოდეხი
17. მახარაძის	მახარაძის ლანჩხუთის ნიხატაურის	ქ. მახარაძე
18. ქვემო სამგორის	საგარეჯოს	ქ. საგარეჯო
19. ზემო სამგორის	გარდაბნის	დ. ორბეცი
20. თბილისის მეტანიკური შორეულის სამმართველო	გარდაბნის	დ. სოღანდუღი
21. თეთრიწყაროს	თეთრიწყაროს წალკის	ქ. თეთრიწყარო
22. თელავის	თელავის ამბეცის	ქ. თელავი
23. ტაშისკარის	ტაშისკარის ქარელის ბორჯომის	ქ. ტაშისკარი
24. წილეთის	წილეთის სამტრედიის ვანის გუგუშვილის	ქ. წილეთი



სასისტემო სამმართველოები	ადმინისტრაციული რაიონები	სასისტემო სამმართველოების ადგილსამყოფელი
25. წვალტვობს	წვალტვობს ტყიბულის ქ. ქუთაისის ამბროლაურის ონის ცაგერის ლენტეხის	ქ. ქუთაისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ზირაძეძე.



27 სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 18 ახალი სასოფლო რაიონის შექმნასთან და რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში სხვა ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოები საქართველოს სსრ სასოფლო რაიონებში (აგრონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჩათვლით), აგრეთვე ქალაქ ტყიბულში, კიათურასა და ცხინვალში სოფლის მეურნეობის იმ ობიექტებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, რომლებიც მდებარეობენ ამ ქალაქების შემადგენლობაში შემავალ სოფლებში.

2. დამტკიცდეს სოფლის მეურნეობის რაიონული (საქალაქო) საწარმოო სამმართველოების სია, დანართის თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დაამტკიცოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შტატები სოფლის მეურნეობის თვითი საწარმოო სამმართველოსათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. პირაძე**.

ქ. თბილისი, 1965 წ. 19 თებერვალი, № 96.



საქართველოს სსრ მინისტრთა
 1965 წლის 19 თებერვლის № 96
 დადგენილების დახარჯი

ს ი ა

სოფლის მეურნეობის რაიონული (საქალაქო) საწარმოო სამმართველოებისა
 რაიონული

- | | |
|----------------|-----------------|
| 1. ახალქალაქის | 26. მარნეულის |
| 2. ახალციხის | 27. მთიაკოვსკის |
| 3. ახმეტის | 28. მახარაძის |
| 4. ამბროლაურის | 29. მესტიის |
| 5. აბაშის | 30. ორჯონიკიძის |
| 6. ბოგდანოვკის | 31. ონის |
| 7. ბორჯომის | 32. სავარეჯოს |
| 8. ბოლნისის | 33. სიღნაღის |
| 9. ვანის | 34. სამტრედიის |
| 10. ვარდაბნის | 35. სანჯერის |
| 11. ვორის | 36. თელავის |
| 12. გურჯაანის | 37. თეთრიწყაროს |
| 13. გეგეჭკორის | 38. თიანეთის |
| 14. დუშეთის | 39. თერჯოლის |
| 15. დმანისის | 40. ხაშურის |
| 16. ზესტაფონის | 41. ხობის |
| 17. ზუგდიდის | 42. წითელწყაროს |
| 18. ქარელის | 43. წილკის |
| 19. კასპის | 44. წყალტუბოს |
| 20. ყვარლის | 45. წულუკიძის |
| 21. ყაზბეგის | 46. ცაგერის |
| 22. ლაგოდეხის | 47. ცხაკაიას |
| 23. ლანჩხუთის | 48. წალენჯიხის |
| 24. ლენტეხის | 49. ნოზატაურის |
| 25. მცხეთის | 50. ჩხოროწყუს |

აფხაზეთის ახსრ-ში

- | | |
|--------------|---------------|
| 51. ვაგრის | 54. გულრიფშის |
| 52. გალის | 55. ოჩამჩირის |
| 53. გუდაუთის | |

აქარის ახსრ-ში

56. ბათუმის

58. ქობულეთის

57. ქედის

59. ხულოს

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

60. ჯავის

62. ლენინგორის

61. ზნაურის

საქალაქო

63. ტყიბულის

65. ცხინვალის

64. კიათურის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. პირაძემძე.



28 საქართველოს სსრ საარქივო დაწესებულებათა ორგანიზაციის ული სტრუქტურისა და ქსალის გაუმჯობესების შესახებ

რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა და სახელმწიფო არქივების ქსელის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის მიზნით და იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების შენახვის, აღრიცხვის, სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებისა და გამოყენების პირობები შეცნირების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გაერთიანდეს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი და საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი საქართველოს სსრ ქ. თბილისის ერთ ცენტრალურ სახელმწიფო არქივად, რომლის შემადგენლობაში შეტანილ იქნას როგორც რევოლუციამდელი პერიოდის, ისე სოციალიზმის ეპოქის დოკუმენტური მასალები.

გადაეცეს საქართველოს სსრ ქ. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის გამგებლობაში დოკუმენტური მასალების რესტავრაციისა და მიკროფოტოგადაღების ლაბორატორია, რომელიც ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს.

2. გარდაიქმნას საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქ. ქუთაისის ფილიალი საქართველოს სსრ ქ. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივად.

გაერთიანდეს საქართველოს სსრ ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივთან ქუთაისის საქალაქო სახელმწიფო არქივი.

ქუთაისის საქალაქო სახელმწიფო არქივის დოკუმენტური მასალები, სადგომი, სამეურნეო ინვენტარი, საშტატო ერთეულები და მისი შესანახი საბიუჯეტო ასიგნობანი გადაეცეს საქართველოს სსრ ქ. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს.

3. გარდაიქმნას 1965 წლის 1 აპრილიდან საქართველოს სსრ დოკუმენტური მასალების მუდმივი შემადგენლობიანი რაიონული სახელმწიფო არქივები დოკუმენტური მასალების ცვალებად შემადგენლობიანი არქივებად.

4. გარდაიქმნას 1965 წლის 15 აპრილიდან ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თელავისა და ხაშურის რაიონული სახელმწიფო არქივები საქართველოს სსრ ქ. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალებად, ხოლო ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძისა და ცხაკაიას რაიონული სახელმწიფო არქივები — საქართველოს სსრ ქ. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალებად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საარქივო სამმართველომ ორი თვის ვადაში განასაზღვროს პროფილი და წესი იმ ფილიალების დაკომპლექტებისა იმ რაიონების დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დოკუმენტური მასა-

1) მეორე აბზაცი არ არის მოყვანილი.



ლებით, რომლებშიაც ისინი მდებარეობენ, აგრეთვე მასალებით მასალების ცვალებად შემადგენლობიანი შესაბამისი რაიონულმა მასწავლებლებმა არქივებიდან.

5.) დამტკიცდეს საქართველოს სსრ საარქივო დაწესებულებათა სტრუქტურა და საშტატო განრიგები, № 1 დანართის თანახმად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს:

